



ქრონიკალი  
გეოგრაფიული

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი  
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით **№9 (1519) 3-6 თებერვალი, 1997 წელი**

*ნუგზარ ფოფხაძე:*  
**ინაური სწორედ  
გაუინ ფსიქოლოგა,  
როცა... ეძინა**

მეორე-მეცხრე გვერდი

**ბიორბი ბარამიძე:**  
**ქოჩუხსიის ერთ-ერთ წყაროდ  
„შენსებში“ გვეუბნება...**

მესამე-მეოთხე გვერდი



საქველმოქმედო ლატარია  
«ივედის» ბათამაშების ცხრილი

მე-10-11-12 გვერდი

შოთა ნიშნიანიძე

## ბუნკერი

მეექვსე გვერდი

## ქართველები

**ფსიქოლოგიური ეფიუდაები**

მეექვსე გვერდი

## სსრბულები

მეცხრე გვერდი

XI კლასელებისა და  
აბიტურიენტებისათვის

## ტიციან ტაბიძე

ცხოვრება და  
მოდუნაეობა

მეხუთე გვერდი

**გვლელობა უამარწყუნებელი  
მართლდით**

მესამე გვერდი

# ჰინ იყო ჰინი?

მასალოში საცაბოთულოს ისტორიის მთავარი მემკვიდრისათვის

## ნუგზარ ფოფხაძე: ინაური სწორად გაუინ ფსიქოლოგია, როცა... ეძინა

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „საქართველო“ №70,71,72, 1996 წ. №1,2,3,4,5,6,7,8 1997 წ.

საერთო აზრია, რომ „მრავალ  
მედიანში“, ისევე როგორც საერთოდ  
ეროვნულ მოძრაობაში, უპირავე სულის  
აგნობა იყო. მათი შეზღუდვა იყო თუ არა  
სამომავლოდ გათვლილი აქტი, ანუ  
ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაცი-  
ისთვის გამოზნული ქმედება. მომხდარ  
პროცესებზე ვისრუბთ თუ არა პასუ-  
სმგებლობა ამის ჩამდინთ?

ამ კითხვებზე კონკრეტული  
პასუხის გაცემა გამომდინარეობს უბრა-  
ლო მიზეზის გამო - არა ვარ ამ  
საქმის ტექნოლოგიაში იმდენად  
ჩახედული, რომ რაიმე ღირებული  
ვაძეცი.

ზოგადად კი ისედაც ცნობილ-  
ია, რომ „კა-გე-ბეს“ აგენტურა ჰყუ-  
და ყველგან, ამიტომ, ეროვნული  
მოძრაობა გამონაკლისი რატომ  
იქნებოდა? უფრო მეტიც, საერ-  
აულა, რომ, უწინარესად, სწორედ  
რეჟიმის მოწინააღმდეგეთა ბანაკში  
უნდა ჰყოლოდა უშიშროების კო-  
მიტეტს თავისი ინფორმაციები.  
იმ დროისთვის და იმ სისტემისთვის  
ეს ბუნებრივია.

იყო თუ არა ეროვნულ  
მოძრაობაში აგენტურის შეგზავნა  
სამომავლოდ გათვლილი აქტი? არა  
მგონია, რომ საქართველოს „კა-  
გე-ბეში“ იმ დროს მუშაობდა  
რომელიმე ნოსტრადამუსი, რომელ-  
იც 1988 წელს გაიანგარიშებდა ერთი  
წლის შემდეგ გამსახურდას მოსკ-  
ლას ხელისუფლების სათავეში,  
ხოლო ორი წლის შემდეგ - სსრ  
კავშირის დაშლას.

ეს რომ ეროვნული მოძრაო-  
ბის დისკრედიტაციისათვის იყო  
გამიზნული, ამაში ეჭვი, რა თქმა  
უნდა, არ უნდა შეგვეპაროს. და  
ესეც საკვებით ბუნებრივი და  
ლოგიკური მოვლენაა ტოტალი-  
ტარული სახელმწიფოს უშიშროე-  
ბის სამსახურისთვის.

რაც შეეხება მომხდარისთვის  
პასუხისმგებლობის დაკისრებას, აქ  
კი, შეუძლებელია და დასკვნების გამო-  
ტანისას, ყველას განსაკუთრებული  
სიფრთხილე და აწონ-დაწონა მარ-

თებს.  
ვინ უნდა აგოს პასუხი - უშუ-  
ალო შემსრულებელმა, სისტემამ, თუ  
იმან, ვინც უფლებამოსილი იყო მისი  
სახელით ემოქმედა?

პასუხზე მკითხველთან ერთად  
ვიფიქროთ, თანაც „ხამალა“.  
„კა-გე-ბე“ რომ საჭელმოქმე-  
დო დაწესებულება არ იყო, ამის  
თქმა ახალი ამერიკის აღმოჩენა არ  
იქნება. 70 წლის მანძილზე მსოფ-  
შიოს მეექვსე ნაწილზე საბჭოური  
წესრიგის დაცვა პარტიას მინდ-  
ობილი ჰქონდა სახელმწიფო უშიშ-  
როების კომიტეტისთვის.

ყველა სხვა სტრუქტურისთვის  
სდგომობრივი პარტორგანოები,  
საბჭოთა არმია, შინაგან საქმეთა  
სამინისტრო, ცენტურა და სხვა ამ  
საქმეში ტონის მიმცემი „კა-გე-ბე“  
იყო. მის დასახსიათებლად საკმა-  
რისია ითქვას, რომ მეცნიერებთა  
აკადემიასაც კი შეშურდებოდა  
უშიშროების კომიტეტის ინტელექ-  
ტუალური პოტენციალი. ორგანიზა-  
ციულად - სათივით აწყობილი  
მექანშიში, დისციპლინა - რკინი-  
ბური, მატერიალურად - ყველაზე  
უზრუნველყოფილი, იდეურად -  
მონოლითი, კორუმპირებულ მარ-  
თვის აპარატში ერთდერთი „სუფ-  
თა“ რგოლი - აი, ეს იყო „კა-გე-  
ბე“.

ამ სიტუციაში საშუალო შემთხ-  
ვევითი კაცი ვერ მოხდებოდა.  
საუფქლიანად შესწავლილ-შერ-  
ჩეულ და სპეციალური ცოდნით  
შეიარაღებულ თანამშრომლებს  
ზრდიდნენ უმკაცრესი მეთვალყურე-  
ობის ქვეშ, თანაც, გაატარდნენ  
იერარქიული კიბის ასოლუტურად  
ყველა საფეხურს.

და ასე იმითმ კი არ ელო-  
ლიაგებოდნენ კადრებს, რომ უქ-  
მად ჰყოლოდათ და მშვიდად ეც-  
ქირათ, თუ როდის გამოუთხრიდ-  
ნენ რეჟიმს ძირს პოლიტიკური  
მოწინააღმდეგენი. ასე არ ხდება  
არსად, არსდროს, არც ერთი  
ფორმაციისა და იდეოლოგიის

პირობებში, თუ, რა თქმა უნდა,  
ქვეყანა თავის თავს უწოდებს „სახ-  
ელმწიფოს“, ამ სიტყვის ყველაზი-  
რი გაგებით.

საქართველოს „კა-გე-ბე“ საკავ-  
შირო სტრუქტურის სისხლი სისხ-  
ლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი  
იყო. ნურც იმის ილუზია ექნება  
ვინმეს, თითქოს, ვინაიდან კონსტი-  
ტუციურად ის საქართველოს  
მთავრობის სტრუქტურაში იყო, მას  
ცენტრისგან სულ მცირე დოზი-  
თაც კი რეალური ავტონომია არ  
გაჩნდა და, აქედან გამომდინარე,  
საქართველოში რომელიმე ხელმძღ-  
ვანელ ორგანოს თითქოსდა ან-  
გარიშს აძარბდა კი, იგი სისტემატ-  
ურად აწვდიდა „ინფორმაციას“  
ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვ-  
ანელობას ამა თუ იმ მოსალოდნე-  
ლი მოვლენის, მიმდინარე პროცე-  
სის თუ რომელიმე მოქალაქის  
„საუქლო“ საქციელის შესახებ, მა-  
გრამ ამას იმითმ შერბობდა, რომ  
სიფხილვე არავის მოდუნებოდა -  
არსებული პოლიტიკური გეზიდან  
და იდეოლოგიური მითითებიდან  
ოდნავი „გადახვევის“ ფაქტს დაუქ-  
ოვნებლოვ მოწყალოდა შესაბამისი  
რეაგირება. ასეც ხდებოდა, გამონაკ-  
ლისის გარეშე. მაგრამ დანარჩენი  
უნდა სცოდნოდა მხოლოდ ცენ-  
ტრს. დასკვნებაც, შეფასებებაც, საბ-  
ოლოო გადაწყვეტილებებიც, რე-  
კომენდაციებიც და სახელმძღვანე-  
ლო მითითებებიც მოსკოვის პრე-  
როგატოვა იყო.

სულ პატარა მაგალითი. მახ-  
სოვს, 80-იან წლებში არა და არ  
ხერხდებოდა ცნობილი რეჟისორ-  
კინოდოკუმენტალისტის, განსვენებ-  
ული გურამ პატარაის საზღვარგ-  
არეთ გაშვება. ეტყობა, წინა მოგ-  
ზაურობებში ჩადენილი რაღაც „მშ-  
მკობისთვის“ მის მივლინებებს „კა-  
გე-ბემ“ ტაბუ დაადო. როცა  
ტელევიზიის ხელმძღვანელებს ყე-  
ლა იმედი გადაგვეწურა, პატარაამ  
პირადად მიმართა შევარდნაძეს და  
დაარწმუნა გამგზავრების აუცილე-  
ბლობაში - მაშინ ძველი ქართუ-  
ლი ხელაწერების კვალდაკვალ  
დოკუმენტურ ტელეფილმს ვიღებ-  
დით და სხვა გამოსავალი არ გვეჩონ-  
და. მიუხედავად იმისა, რომ „კა-გე-  
ბეს“ პოზიცია შევარდნაძისთვის  
ცნობილი იყო, ცუ-სამდინომ პა-  
სუხისმგებლოდა თვითონ იყისრა და  
საგანგებო დადგენილებით დაშავა-  
ლა პატარაის საზღვარგარეთ მიე-  
ლინების ორგანიზაცია. დაუწერე-  
ლი კანონი იყო - ასეთი გადაწყ-  
ვეტილების შემდეგ პრობლემა  
გადაჭრილად უნდა ჩაგეთვალა.  
თითქოს ყველაფერი მოგვარდა,  
გავგზავნეთ საჭირო დოკუმენტაცია  
საკავშირო ტელერადიოკომიტეტ-  
ში, საიდანაც წინასწარი სიტყვიერი  
თანხმობა მიღებული მქონდა და-  
მოულოდნელად ცოვი უარი გვეტ-  
კიცეს. სანდო გზით დავადგინე  
მიზეზი - ისევე ინაური, საქართვე-

ლოს „კა-გე-ბეს“ შეფი!  
ტექნოლოგია უმარტოვესია, იგი  
თვითონ ინაურია „ამიხსნა“. შენ  
პარტიზანობას და ცუ-ში ჩვილს  
თავი დაანებე - ცუ კი არის ცუ,  
მაგრამ... „კა-გე-ბეც - კა-გე-ბეა“.  
არსადაც არ გავუშვებ მაგ პატარა-  
იას, გინდა მთელი ქვეყანა ფეხზე  
დადგესო. შენ და შენი პატარაია  
დროს ნუ დაკარგავთ მოსკოვში  
საქმის „გარკვევაზე“, ჩემი დარეგის  
შემდეგ იქ ახლოც კი არავინ  
გაგვიარებთო...

სწორი აღმოჩნდა  
...ასეა - შენ იჯექი აქ და თავი  
იმტვირე, როგორ გადილო პატრი-  
ოტული ტელეფილმი საზღვარგა-  
რეთის ქართულ ძეგლებზე, თანაც  
იმზე იდარდე, დაიჯერებს კი შენს  
გულწრფელობას პარტიანზე, წყობა-  
ზე, ტელევიზიის ხელმძღვანელობა-  
ზე უკვე განაწყენებული პოპულარუ-  
ლი რეჟისორი, რომელსაც ყველ-  
გან მივსვლება, თბილისსა თუ მოსკ-  
ოვში... არადა, ვერც ბოლომდე აუხ-  
სნი მიზეზებს, არც დაიჯერებს, რომ  
რესპუბლიკის პირველი ხელმძღვ-  
ანელი - პოლიტიკურის წევრობ-  
ის კანდიდატი საზღვარგარეთ მის  
მივლინებას მხარს უჭერს, გვაყვებს  
კიდევ ამ საქმის ორგანიზაციას, მა-  
გრამ უძლური ხარ, ვინაიდან ინ-  
აურს ამის „ბოში“ არა აქვს -  
თავისი „შვილი“ ჭრის და ყერ-  
ავს. პატარაიას „საიდუმლოს“ გაუმხ-  
ელ და... ვაი, თუ ენას კბილი არ  
დააჭიროს და შენც მორიგ შარს  
გადაეცილები. თანაც, ვისგან?!

...ადგილობრივი „კა-გე-ბეს“  
გავლენა რესპუბლიკაში მიმდინარე  
პროცესებზე და უმაღლეს ხელმძღ-  
ვანელობაზე, რა თქმა უნდა, დიდი  
იყო, ხოლო პატარაიას პირველ  
მდივანდ დანიშნვის შემდეგ, პრაქ-  
ტიკულად - განუსაზღვრელი. ამ  
შემთხვევაში, გადაწყვეტი მართო  
ის სხვაობა კი არ იყო, პატარაიას  
სა და ინაურის შორის ასაკში,  
გამოცდილებასა და ავტორიტეტში  
რომ იგრძნობოდა, არამედ ინაუ-  
რის დასახურება პატარაიას-ხა-  
ბეიშვილის კონფლიქტში, როცა მან  
„მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა“  
„სყარად დაუჭირა მხარი მომავალ  
პირველ მდივანს.

ინაურის „კა-გე-ბე“ გან-  
საკუთრებული აქტიურობით ერე-  
ოდა კულტურის სფეროში. ცნო-  
ბილი „მეხუთე განყოფილება“ წა-  
მითაც კი არ იყო მოდუნებული,  
რადგანაც ლიტერატურისა და ხე-  
ლოვნების სფეროში ცხოვრება  
დულდა. ცენტურა, პრაქტიკულად,  
„კა-გე-ბეს“ ქვედანაყოფი იყო და  
ისინიც ხელახელჩაყიდებულნი  
„იცივდნენ“ კულტურის  
იდეოლოგიურ სიწმინდეს. მაგრამ,  
რაკი თვითონ ინაური ამ სფერო-  
ში არ გრძნობდა თავს „კომპეტენ-  
ტურად“, უმეტესწილად ორი-სამი  
ხელკვეთის „გემოვნებას“ ენდობო-  
და ჩვენც ვსარგებლობდით ამ „ინ-  
ფორმაციით“ და სწორედ მათი  
„ოთარ ხატარავილი, გვიჯობნებამე,  
ნოდარ მაისურაძე და სხვა მეშვეო-  
ბით ვცდილობდით ზოგჯერ მცირე  
„კონფლიქტების“ მოგვარებას.

მაგრამ იყო მომენტები, როცა  
ინაურის აღშოთებდა საზღვარი არ  
ჰქონდა. თაბულაძის „მონაწილემ“  
იგი მდგომარეობიდან გამოიყვანა და  
ტაქტს და დიპლომატიას აღარ  
დაგიდევდა. მისი აზრით ამ ფილმ-

გაგრძელება მე-9 გვ

### კლუბი შევარდნაძის განცხადება

საპარტიველოს პრეზ-  
იდენტმა ედუარდ შევარდ-  
ნაძემ განაცხადა, რომ  
რუსეთს ჯერ კიდევ აქვს  
შანსი, რომ გადამწყვეტი  
როლის შესასრულოს აფხ-  
აზეთისა და „სამხრეთ ოს-  
ეთის“ კონფლიქტების და-  
რეგულირებაში, რასაც  
შედევად მოჰყვება სარ-  
კინიზო და საავტომობი-  
ლო გზების გახსნა აფხ-  
აზეთისა და ცხინვალის  
რეგიონის მიმართულებით.  
ედუარდ შევარდნაძის  
განცხადებით, ამით უკეთ  
იქნება დაცული რუსეთის  
სტრატეგიული ინტერესე-  
ბი საქართველოში. (იბერია)

### დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭო გაუარკვევლი დროით არის გადატანილი

საბაზენტოს კორესპონ-  
დენტს საქართველოს სა-  
გარეო საქმეთა სამინის-  
ტროდან აცნობეს, რომ 31  
იანვარს უნდა გამართუ-  
ლიყო დსთ-ს სახელმწიფო  
მეთაურთა საბჭოს სხდო-  
მა. სხდომა გადატანილია  
გაურკვეველი დროით  
უზბეკეთს, უკრაინის, ბე-  
ლორუსიისა და თურქმე-  
ნეთის პრეზიდენტთა მოთხ-  
ოვით. აღნიშნულ სხ-  
დომაზე აფხაზეთის საკ-  
ოთხი უნდა განხილულიყო.  
(იბერია)

### 80% კერძო სამტორებიდან

საბაზენტოს კორესპონ-  
დენტს საქართველოს სახ-  
ელმწიფო კანცელარიიდან  
აცნობეს, რომ ამჟამად  
საქართველოს სახელმწიფო  
ბიუჯეტის შემოსავლების  
80 პროცენტი შედის კერ-  
ძო სექტორებიდან ამოღე-  
ბული გადასახადების შედ-  
ევად. ეს ერთ-ერთი ყვე-  
ლაზე მაღალი მაჩვენებე-  
ლია პროსაბჭოურ სიერცე-  
ში.

### აფხაზი ბოვიკების მიერ მოკლულია-7 მშვიდობიანი ქართველი

დასუსტებული მონაცე-  
მებით, აფხაზი ბოვიკების  
მიერ გადის რაიონის ტერ-  
იტორიაზე უკანასკნელ  
დღეებში განხორციელებუ-  
ლი სადამსჯელო ოპერაციე-  
ბის შედეგად მოკლულია 7  
მშვიდობიანი ქართველი:  
გგოგია, ზნხაპელი, ეცაგაე,  
კქორიძე, ნარმანია, როსტო-  
ბაია. ხოლო ქალაქ სოხუმ-  
ში ტყვედწაყვანილი ოთხი  
დაჭრილი ქართველიდან 1  
წამებით არის მოკლული.  
სულ ტყვედ 21 ადამიანი  
არის აყვანილი.





ავტორიზებული ინტერვიუ

ბიორბი ბარამიძე: კორუფციის ერთ-ერთ წყაროდ „შენაჩეხი“ გვევლინება...

დონი - დაამთავრა ტენიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი 1992 წელს, 1995 წელს ნატოს პროგრამა „პარტიზანობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში ვერობის უსაფრთხოების საკითხთა და თავდაცვითი ტექნოლოგიის ცენტრი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში სამხარეთელოს უფროსის თანამდებობაზე. წინა საპარლამენტო არჩევნებში - დეპუტატი მწვანეთა პარტიიდან. მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი. ამჟამად დიდუბის რაიონის მეთორიტარი დეპუტატი მოქალაქეთა კავშირიდან. მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, საპარლამენტო ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე, პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებლო კომისიის თავმჯდომარე, უცხოელ შვილი. დედა - ინჟინერი ქიმიკოსი. მამა - პედაგოგი, ისტორიკოსი. პეიეს 18 წლის ძმა, ტენიკური უნივერსიტეტის სტუდენტი.



ბ-ნო გიორგი, დღევანდელი რეიტინგის მიხედვით საპარლამენტო კომისიის წარმომადგენლებს მოსახლეობა ყველაზე მეტად თქვენ გწყალობს. კომისია მუშაობს და ხალხი დაინტერესებულია შედეგებით. თქვენ თუ ხართ მსაჯული კომისიის მუშაობით? - დავიწყეთ იქიდან, რომ ჩემს თანამდებობაზე მყოფი ადამიანი ვერ იქნება მიღწევებით კმაყოფილი, სანამ რესპუბლიკაში იარსებებს კორუფცია, რომელსაც კორუფცია ჰქვია. ჩვენი კომისიის არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ჩვენ მიუღწევით იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში დაიწყო სერიოზული საუბარი კორუფციისა და მისთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. ეს კი უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. კომისიის მიზანია, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არის თავი და თავი რესპუბლიკის ყველა ძირითადი პრობლემის გადაჭრისა, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების ჩათვლით.

სი აღმასრულებელ ორგანოში მოხვედრის შემდეგ, აღმოჩნდა ბევრი თაროზე შემოღებული? - ბოლო სამთავრობო თაობებზე აღინიშნა ზუსტად ის ფაქტი, რომ თვითონ ის სტრუქტურები, რომელნიც თავიანთი დანიშნულების მიხედვით მოწოდებულნი უნდა იყვნენ ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად, დღეს მზად არ არიან ამასათვის. მე აქ ვგულისხმობ არა რესურსების ან კადრების, გამოცდილების უმარობას, არამედ მათ სურვილს - პოლიტიკურ ნებას. ძალიან სტრუქტურების მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაები ერიდებიან აუტორი თავის ატვირებას, სერიოზულად არ ჰკიდებენ ხელს იმ საქმეებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ამა თუ იმ მაღალი რანგის ჩინოსანთან ან გავლენიან პირთან. თვითონ ის ფონი კი, რომელიც შეიქმნა სახელმწიფოში, გავლენას ახდენს პროცესებზე იმ სტრუქტურებში, რომლებიც დანიშნულებით მოწოდებულნი არიან ამ სახის დანაშაულთან საბრძოლველად. მაღლობა ღმერთს, იქაც არიან პატიოსანი ადამიანები, რომელთაც უყვებოდა გასაქმნი იტყუათ. მე ვერ ვიტყვი, რომ მათ ყველა საშუალება აქვთ საბოლოო მიზნის მისაღწევად, მაგრამ ისინი მეტ მხარდაჭერას და ზურგს გრძობენ. აი ეს არის ჩვენი კომისიის მთავარი მიზანი - ფონის, პოლიტიკური კლიმატის შექმნა და მე ვფიქრობ, ამას მომავალშიც შეეცდება და განახორციელებს კომისია და პარლამენტი.

ბ-ნო გიორგი, ყოფილი თუ არა კომისიის მუშაობის პერიოდში მოსცილების, დაშინების ან სხვა რაიმე ზემოქმედების გზით შედეგზე გავლენის მოხდენის მცდელობები? - როდესაც ამ საქმეს ვკიდებდით ხელს, ჩვენ წინასწარ ვიცოდით, რომ ასეთი ფაქტები იქნებოდა. ამდენად ჩვენივე ეს მოულოდნელი ან გასაკვირი არ ყოფილა. აღსანიშნავია ის, რომ როდესაც ამგვარი მეთოდებით ვერ ხერხდება ზემოქმედება კომისიაზე, მოქმედებაში მოყვით დისკრედიტაციისა და კომისიისათვის სხვადასხვა მათემატიკით ატორიტეტის დაკარგვის მექანიზმი. საბედნიეროდ, ჩვენი მოწინააღმდეგეები ვერცხრობით სერიოზული რეზულტატებით ვერ დაიკვირნან. მე აქ მხოლოდ იმ პირებს არ ვგულისხმობ, რომლებიც ლიდ გეორგი პრესაში, გაცოცხლებით მეტ საშუალებებს წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებიც საჯაროდ არაფერს ცუდს არ ამბობენ კომისიის შესახებ, პირიქით, პირში გვეფერებიან, ხოლო ზურგს უყან ძირს უთხრიან კომისიის წევრების და მთლიანობაში კომისიის ავტორიტეტს. ეს ხალხი ამგვარ საქმიანობაში ფრიალ დახლოვებულია - ეს შეგნებში, კომპრომეტაციის გზით პირიქითის ან სტრუქტურის პოლიტიკიდან ჩამოშორებისა - ვერ კიდევ საბჭოური პერიოდში მუშაობდა. ასეთი სახის წინააღმდეგობა მიმართა მე პირადად ყველაზე მეტად საშიშად კომისიისათვის, რამეთუ ჩვენ საქმოდ გამოუცდელი ვართ ამგვარი ტიპის ბრძოლაში. ხოლო საქმე ათეულობით წლების გამოცდილების მქონე ოსტატებთან ვაჭვს. რაც შეეხება დამინების ან მოსყიდვის მცდელობას, აქ პრობლემის გადაჭრა ძალზედ იოლია: უბრალოდ არ უნდა შეშინდეს და არ უნდა გაიყოღოს.

ამ ორივე დღის წინათ დაიბედა წერილი, რომელიც ბ-ნი მარგარიტა აცხადებს, რომ მის საქმარის მასალა გააჩნია იმისათვის, რომ დიდებულ ამორჩევლებს დეპუტატობიდან თქვენს გაწვევის მიზანშეწონილობა დაეჭვებოდა. რას ფიქრობთ თქვენ ამ ფაქტის შესახებ? - ვითარების გასარკვევად უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნი მარგარიტა არის ერთ-ერთი იმ პირი, რომელიც თავისი თვალთახედვის არეში მოექცა, ამდენად მე ამ ფაქტს მშვიდად ვუყურებ. განვაქცადე და კვლავ ვაქცადებ, რომ მოვითხოვ იმ მასალების გამოჭეჭვას, რომელიც მას გააჩნია. რაც შეეხება ჩემს ამომრჩევლებთან პოლიტიკურ, შეფასებებზე მარგარიტას, რომ ასეთი მექანიზმი გათვალისწინებული არ არის. ჩემი ამომრჩევლები თვალყურს ადევნებენ ჩვენს და პირადად ჩემს საქმიანობას, ამდენად შეფასებასაც თვითონ მოახდენენ. ბუნებრივია დიდების საარჩევნო ოლქში მოწვევად კლდება მე-4 გვ.

მ.ნაღმბაძის პრეს-კონფერენცია

სააბნტო სორესპონდენტის ცნობით, თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ 1 თებერვალს გამართულ ბრიფინგზე მოსკოვში, დსო-ს ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრის თაობაზე ისაუბრა. მისი თქმით, შეხვედრაზე განხილული შეიქმნა საკითხიდან ორი საქართველოს შესახებ იყო. პირველი - სამშვიდობო ძალების სარდალ დებატეკოს ეხებოდა. თავდაცვის მინისტრი რამოდენიმეჯერ შეხვედა დებატეკოს და მისი თქმით, იგი „მომზადებული, გამოცდილი და ობიექტური გენერალია“. მეორე საკითხი უშუალოდ აფხაზეთის პრობლემებს დაეხმო. სხდომაზე ენადიბაიძემ დააყენა წინადადება უსაფრთხოების ზონის გადის რაიონის ძველ საზღვრამდე (დაახლოებით ომაშირემდე) გაფართოების შესახებ, თუმცა მისი თქმით, სხდომაზე იყო წინადადება უსაფრთხოების ზონის ხობის რაიონამდე გაფართოების თაობაზე, რაზეც ენადიბაიძე კატეგორიულად წინააღმდეგობა წაუყენებდა. მინისტრმა აქვე დასძინა, რომ თუ სამშვიდობო ძალები ბოლომდე შეასრულებენ მათზე დაქონისრებულ ვალდებულებებს, სამშვიდობო ძალებს ექვსი თვით გაუგრძელდებათ კონფლიქტის ზონაში ყოფნის ვადა. (იფრინდა)

სოციალისტური პარტია უკმაყოფილოა მმტროპოლიტანის საფასურის გაზარდის გამო

საპარლამენტო სოციალისტური პარტია 31 იანვარს გაკეთებულ განცხადებაში უკმაყოფილებას გამოთქვას 1 თებერვლიდან მეტროპოლიტენით სარგებლობის დირექტორების 100%-ით გაზრდის გამო განცხადების აქტიურებს მიაჩნიათ, რომ მიღებული გადაწყვეტილება მოუშადაცხადებელია, არ ითვალისწინებს არსებულ რეალობას და მძიმე ტვირთად დააწევა მოსახლეობის ფართო ფენებს. პარტიის მოთხოვნაა - დაუყოვნებლივ გადაიხედოს მიღებული გადაწყვეტილება და შენარჩუნებული იქნას არსებული ტარიფი. (იფრინდა)

«დექონსტრუქციის» გამო დავნიღვამი სპარსებო წყაროს ბარამი ღარჩნე

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ველოდიას აპარატის თანამშრომელმა რაფიელ გელანტამ განაცხადა, რომ თბილისში დაწვეული «დექონსტრუქციის» პროცესის გამო 10000-მდე აფხაზეთიდან და სამხაბლოდან დევნილი საარსებო წყაროს გარეშე დარჩა. მდგომარეობას ამწვევებს ისიც, რომ წელს უცხოური ორგანიზაციების ჰუმანიტარული დახმარებები 70%-ით შემცირდება. მისივე თქმით, თუ აღნიშნული საკითხი არ იქნება გათვალისწინებული წლევანდელ ბიუჯეტში, ათასობით იძულებით გადაადგილებული პირი შემშლით დაიხიციება. (იფრინდა)

ინციდენტი მდინარე მტკვარის საპროტროლო-გამწვევებში

სააბნტო სორესპონდენტს სარწმუნო წყარომ ქალაქ ზუგდიდის გამგებობიდან აცნობა, რომ რამდენიმე დღის წინ მდინარე მტკვარის საპროტროლო-გამწვევებში პუნქტზე რუსმა მესაზღვრეებმა მოკლეს აფხაზი ახალგაზრდა მამაკაცი. იგი ცდილობდა არაღელვარულად გადაეღობა მდინარე ფსოუს და გადასულიყო რუსეთის ტერიტორიაზე. აღნიშნული ფაქტი დამალა როგორც რუსეთის, ასევე აფხაზეთში მხარემცავც. რათა არ გამოწვევებულიყო რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობა. (იფრინდა)

**აკვლავობა შეასრულებული გათოვლით**

30 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ შარშან რუსთაველი მომხდარი შემადრწუნებელი მკვლელობის ჩამდენნი გაასამართლა. მოსამართლე ჯ.დელინიძის მიერ განაჩენის გამოცხადება ვერანაირად ვერ მოხერხდა მანამ, სანამ სხდომათა დარბაზიდან მოკლულის მშობლები არ გაიყენეს. დაზარალებული მხარე მკვლელობისათვის სასჯელის უმადლეს ზომას - დახვეჭას მოითხოვდა. ყველაფერი კი ასე დაიწყო

რუსთაველის მცხოვრები, 1963 წ. დაბადებული ივანე (მამუკა) პოპოვი ულადიკაევს მუშაობდა 1996 წლის 17 აგვისტოს ოფის რუსთაველი ჩამოვიდა, თან 7000\$ ჩამოიტანა და რუბლზე გადაახურდა. ამის თაობაზე განსასჯელებმა, 1963 წ. დაბადებული მამუკა ომანაშვილმა და 1961 წ. დაბადებულმა ამირან ვაჭარაძემ პოპოვის ქვისლისაგან შეიტყვეს და ფულის ხელში ჩასაგდებად პოპოვის მოკვლა გადაწყვიტეს. ენადიან პოპოვი მათ კარგად იცნობდა, 1996 წლის 23 აგვისტოს დაუპატრეებულ სტუმრებს კარი თვითონ გაუღო. „სტუმრების“ ეიზიტი პოპოვიან მოტივირებული იყო იმ მიზნით, თითქოსდა მათ წერილის გაგზავნა სურდათ ულადიკაევსში, რაზეც პოპოვი თანხმობა მისცა. სანამ ერთმანეთს დაემშვიდობებოდნენ, ვაჭარაძე მოულოდნელად თავს დაესხა პოპოვს, ყელზე მსხვილი მათული მოუჭრა და თანამზრახველს, ომანაშვილს, მოქმედების საშუალება მისცა, რომელმაც არ დააყოვნა და პოპოვის გულმკერდის არეში დანით რამდენიმე ჭრილობა მიიყენა. არც ეს აკმარა და ცოცხალმკვდარ კაცს ყელიც გამოჭრა. ამის შემდეგ დანაშაულის დაფარვის მიზნით ცხედარს წყალი გადაასხეს და გაზის ოთხივე ქურა გახსნეს, ხოლო 3 ანთეს, რითაც იმედოვნებდნენ, რომ ცოტა ხანში დაგროვილი გაზი ააფეთქებდა სახლს, მთლიანად გადაწვევდა და ჩადენილი მკვლელობაც საბოლოოდ გაუხსნეული დარჩებოდა.

საკულისხმა ის ფაქტი, რომ ომანაშვილი და ვაჭარაძე დანაშაულის ჩადენის მომენტში იმყოფებოდნენ არაფხიზელ მდგომარეობაში. ბოროტმოქმედებმა პოპოვის სახლიდან 36 მილიონი რუსული რუბლი და სხვა ნივთები გაიტაცეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ ჯემალ დელინიძის თავმჯდომარეობით ბოროტმოქმედებს განაჩენი გამოუტანა.

რ. ომანაშვილს და ვაჭარაძეს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 15 წლით, პოპოვს 5 წლითა და მკორეს 3 წლით სასჯელის საპრობილეში მოხდით და ქონების კონფისკაციით.

ია გუპტსკაია



# XI კლასელები და აბიტ ურიენტებისათვის სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

## ტიციან ტაბიძე სსოვრება და მოღვაწეობა

### ნოდარ გრიგალაშვილი

1914 წელს, მოსკოვიდან ახალ დაბრუნებული ტიციანი სოფელს მიაშურებს. რიონის პირას ორი ყმაწვილი მზეს მიფიცხებია ერთი ტიციან ტაბიძეა, მეორე - მასზე ცოტა უფროსი ბიძაშვილი გალაკტიონ ტაბიძე გალაკტიონს ამ დროს შეყვარებული ჰყავს ქუთაისში და მას მისწერს:

„მე არასდროს, მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში იმდენი ჩემი და მყუდრო ბედნიერება არ გამოვიცდია, რამდენიც ეხლა, სოფელში ყოფნის დროს. წარმოიდგინე სოფელი, ქალაქის დრტყინვასა და მოუხეშავ ცხოვრებას დაშორებული, შორი, თვალწინავე მინდორები, იქით კიდევ მუდმივი მწვანით შემოსილი მთები. ახლა მინდორებზე სულ სიმინდია დათესილი. ალაგ-ალაგ გაუგავლი ტყეებია, მათ სივრცეში დასვენებას და ოცნებობას არა სჯობს-რა. ჩვენი სახლის მახლობლად, სულ ორმოც საუენზე, მდინარე რიონი ჩამოდის. მე და ტიციან დღეში სამჯერ განაბობ ხოლმე შიგ, დილას, შუადღისას და საღამოს, კეთილყოფილთ ერთად წიგნებს, რაც კი გაგვაჩნია შედარებისა გაუგავლი რიონს გაღმა ყანებში, დაესხდებით რიონის პირვე ვერხვის ძირში, გვაქვს თან დოქით დეინო, თან ესვამთ და თან ესაუბრობთ, ვიგონებთ ნაცნობებს, მეგობრებს, ნათესავებს; მაგრამ ყველაზე უფრო ვიგონებთ ჩვენს ტრფიალებს. ტიციან მიაშობს მოსკოვის ამბებს, მე ვუამბობ ქუთაისისას. ხანდახან გამოდის, რომ ქუთაისის ამბები ჯობნება მოსკოვისას, რადგან მე უფრო მეტ ტყუილებს ვამბობ, ვინემ ტიციან ტიციან გულზე სვლება.“

მთვარე ამ დროს მალა სივრცეშია ასული; ნიავე ქრის, რიონის ზეირთების ბუტბუტი არღვევს მყუდროებას. შემდეგ მიესივრება ნათი ვერ წარმოიდგენ რა საუკეთესო რამაა ნათი სივრცეა მთვარიან დამეს.

ტიციან ანკესები იყიდა თეუზების დასაჯერად. მე კიდევ ანკესები ვიშოვე. დადივართ და ვიჭერთ თეუზებს ხანდახან, როცა ანკესებს დაეაგებთ და ზედ თეუზი მოუკიდება, პატარა ბავშვები მოგუპარავენ. ტიციან არ იცის, რა ქნას ამ დროს. პირდაპირ უნდა მივლი ქვეყანა ძირიან-ფესვიანად ამთავდოს, მაგრამ როცა შეხედავს რომ მე სრულიად გულდამწვრთვული ვარ, უფრო უარესად ცეცხლდება. მე ყველაფერი ეს მიხარია ძალიან.

სხვა აქ არაფერს ვაკეთებთ. ერთი ბუდიდან აფრენილ ამ ორი ყმაწვილის გულისცემას სულ მალე მთელი საქართველო მიუგდებს ყურს. ლექსი ქართული გაიმართება „ორპირის ხანით“. მოგვიანებით ტიციანი გალაკტიონ ტაბიძეს მიუძღვნის ლექსს, სადაც დაწერს:

ერთი ოცნების, ერთი გეარის ვართ ტყუპის ცალი, ერთად ღებობან ჩვენსამაგების კუთხის ფიცარი. ორპირის ფშანის ერთად ეწოვეთ ჩვენ ვუმრუბები, და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემდურებით... გაუყოფელი დაგვრჩა ეზო, სახლი და კარი, რიონის ტალღად დაგვედგენა სიტყვა ანკარა. ერთია ჩვენი სამუდამო ხაშმის ემბაზი, ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხანით.“

გალაკტიონის ბიოგრაფიიდან უკვე ვიცით, რომ მას მაგნიტოფონიდან ძლიერ უჭირდა ყმაწვილკაცობაში არც ტიციანი ყოფილა უკეთეს დღეში. 1914 წელს ქუთაისის ბაღში მწერალთა ჯგუფთან ერთად გადაღებულ ერთ სურათთან დაკავშირებით გალაკტიონს პატარა ჩანაწერი გაუკეთებია:

„ტიციანს ახლად შეკერილი კოსტუმი აცვია გიმნაზია ეს-ესაა დამთავრა ტიციან! მაშინ ტიციანი არ ერქვა. ათი

წლის განმავლობაში ის ხელს აწერდა ტიციან ტაბიძე, ტაბიძე, ტიციან... იმ სურათზე აღბეჭდილთა შორის ყველა უზრუნველყოფილი იყო, მე კი იმ დღეს, მასსოც, სადილის ფულიც არ მქონდა. მაგრამ თავს ღორღივით ვიჭერდი, საბრალო ტიციანიც ამ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ისიც თავს იჭერდა.“

ასე რომ, როცა ახალგაზრდა „ცისფერყანწველთა“ ბოქმურ ცხოვრებაზე ჩამოვარდება სიტყვა, არ იფიქროთ, რომ ასე ცხოვრებას მათ სიმდიდრის გამო მიჰყვებიან. ზოგჯერ პირიქით უფრო ხშირად ხდება - კაცს გაჭირდება აიძულებს დეინოში ეძიოს გამოსავალი დარდის განსაქარებლად.

ქუთაისში ტიციანმა გაიჩინა განუყოფელი მეგობრები. ლეგენდასავით დარჩა მისი და პაოლო იაშვილის ძმობა. საერთოდ, „ცისფერი ორდენის“ წევრებს, გარდა იმისა, რომ ერთი ესთეტიკური მრწამსი აერთიანებდათ, უბრუნდეს ყოველსა, საძმო ფიცი პკრავდათ და აერთიანებდათ ქრისტესა და მისი მოწოდებებით იხილეს ცამეტნი იყვნენ. ეს რიცხვიც ცხადია, სიმბოლური იყო. ზოგიერთ მათგანსაც ქრისტესავით გოლგოთის გზის გაეღამ მოუწია... საქართველოს დედაქალაქში გადმოსული „ცისფერყანწველები“ დაუმეგობრდნენ გრიგალაშვილს, რომელიც მათი სამშობლო აღიარებულ თავიკაცად იქცა. თბილის-

ში გაიცნო ტიციანმა ნინო მაყაშვილი, თავისი ცხოვრების განუყოფელი მეგობარი. ილია ჭავჭავაძის ბიძა და ნინო მაყაშვილის ბაბუის მამა ძმები იყვნენ ნინო არისტოკრატიული ოჯახიდან გახლდათ. ნინოს დედას გული გადმოეყვარა, როცა მისი ქალიშვილისა და ტიციანის სიყვარული შესახებ შეიტყო. მას ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე პოეტისათვის შეიღიო არ ემეტებოდა. ნინო კი „ცისფერყანწველთა“ ორდენის „არაოფიციალურ“ წევრად იქცა მათთან ერთად იყო საღამოებზე, სუფრებზე ტიციანი ერთი წყითი აღარ იშორებდა სატრფოს წიგნში „ტიციანი და მისი მეგობრები“ ნინო იგონებს.

„მე მაშინ ორბელიანის ქუჩაზე ვცხოვრობდი. დიასახლისი დიდი ყურადღებით მეტყუიდა, მარჯებდა, ასეთი ბოქმური ყოფა დაეგდებოდა.“

დღილით სამსახურში მივდიოდი. საღამოს კი პოეტებთან ვატარებდი. ყოველივე ამას, ბოლოს და ბოლოს, არ შეიძლებოდა თავისი დადი არ დაემშინა ჩემზე და მართლაც, ჭლები შემეყვარა.

ტიციანი ძალიან შემოუთებელი იყო და ექიმები დამახვია. პაოლო ნემსის ყუნწში ძერებოდა, ოღონდაც რითიმე ესიამოვნებინა ტიციანისთვის. ზღვა ყვაილები მოქონდა, ჩემთან ერთად სუამდა წამლებს, როცა მე გაუფიქრებოდი, ჩემთან ერთად იკეთებდა ნემსებს. შემცბარი ტიციანი კი იჯდა და ხმას არ იღებდა.

ახლა ჩვენი მეგობრები ჩემს ოჯახში იკრიბებოდნენ. სურათების გამოყენებაც კი ჩემთან იმართებოდა. თავს დამტრიალებდნენ ჩემი მეგობრები: თამარ წერეთელი, ნადია შალიკაშვილი და თამარ ჯაფარიძე. მალე დედაცამეცი ჩამოვიდა. სწორედ აქ, ჩემს ოთახში, გაიცნო პირველად ტიციანი და პაოლო, ერთი თავიქინდრული იჯდა და ხმას არ იღებდა, მეორე ეხას არ აჩერებდა. დედამ მაშინვე გუშანით ორბელი, რომ პირველი შეყვარებული იყო და მალე დაქორწინდებოდა.

ჩემი არჩევანი დედას დიდად არ მოსწონდა, რადგან პოეტები დღეშიადაც ქუჩა-ქუჩა დაუხეტებოდნენ და თავი გამოიწვევად უჭირათ.

ხომ არ გავიცი, - მარჯებდა დედა,

მაგისთანას როგორ უნდა გააყვე! პოეტი და ცოლი ვინ გაოზნა? მალე შენ თვითონ მიხედები!..

დედა, თავი დამანებე! ჩემი საქმისა მე უკეთ ვიცი.

ექიმებმა აბასთუმნის სანატორიუმში გამგზავნეს. სანატორიუმში ჯერ ჩასული არ ვიყავი, რომ ტიციანის, პაოლოს, ვალერიანისა და ლელის დეპეშა მივიღე. მალე გამოვანმრთელებას მისურვებდნენ. დიდასაღამოს ქუთაისიდან დეპეშებს ვიღებდი. ერთხელ დეპეშას 75 კაცი აწერდა ხელს. ზოგიერთებს არც კი ვიცნობდი. ოთახში, სადაც მე ვიწექი, ორი ავადმყოფი შემოვიდა. ზეზე წამომამყენეს და ფანჯარასთან მიმიყვანეს. ეზო ხალხით იყო სავსე. რაშია საქმე-მეთქი, დაინტერესდი. სიცილით ამიხსნეს, ეს ფოსტის მეშვეობით, რომლებსაც თქვენი ნახვა სურთო, შეეცბი.“

1920 წლის 14 იანვარს, ნინობა დღეს, ტიციანმა და ნინომ იქორწინეს. პაოლო დატრიალდა-იგონებს ნინო, ტიციანის შეუღლე ყვაილებისათვის ბათუმში გაემგზავრა ფატა პარმის თეთრი ივით დამიშვენა. მენიუც თვითონ შეადგინა, მზარეულები და ოფიციატები ქიშქრონიდან მოიყვანა. ჩემი ბინაც თავისი გემოვნებით დაადაგა. ქორწილი გრიგალაშვილის ქუჩაზე №18-ში ბიძაქიმის ბინაზე გადავიხადეთ.

ტიციანი შეუძლოდ იყო და პაოლო თავს დასტრიალებდა.

ორასმა კაცმა მოიყარა თავი... ნათესავების გარდა ქორწილს ტიციანის მეგობარი პოეტებიც ესწრებოდნენ. ყველას გულზე მიხაკები დაეხინა. მთელი ქორწილის ხარჯი პაოლომ გაიღო, თავად კი დახეული შარვალი ეცვა.“

ასეთი იყო პაოლო არა მხოლოდ ტიციანის, არამედ ყველა მეგობრისათვის, საზოგადოდ, მოყვასისათვის ასეთი იყო ტიციანიც. ბავშვით ალალი, უშურველი, სხვათა დასახმარებლად მუდამ მზადყოფი.

არა მხოლოდ მათი ლექსებია ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუშები, არამედ თვით ცხოვრებაც მათი ნამდვილი პოეზია იყო. მათი შეხვედრა დღესასწაული გახლდათ. „ცისფერყანწველთა“ ხალხში გასვლა უცნაურობებით სავსეა. აი, თუნდაც ერთი დღე ადვოკატის ორდენის წევრთა ყოველდღიური ყოფიდან. სერგო კლდიაშვილი იგონებს:

„მინდა ერთი შემთხვევა გაიხსენო.“

1919 წელი იყო. პაოლომ არგვეთიდან ქუთაისში ჩამოიარა ერთი დღითო, თქვა, მაგრამ თბილისიდან ტიციანის დეპეშა მივიღეთ - ჩამოვდივარო და პაოლო დარჩა. რა თქმა უნდა, ტიციანის ჩამოსვლა ადვილზე იმ დღეს ყველანი ერთად ვიყავით. ლეონიძე გუაკლდა და თბილისში მყოფს მეგობრული დეპეშით მივესალმეთ. ნასადღევს კი, პაოლოს წინადადებით, ქალაქარეთ გავდიეთ.

ქუთაისის აღმოსავლეთით მდინარე წყალწითელაზე რომ ძველი ხედი, ის ალბათ ბევრ თქვენგანს უნახავს. მოახლოვდებით თუ არა იმ ადგილს, მგაფიოდ გაგონებდით წისქვილის ბორბლებზე მიშვებულ დარის წყლის ხმაურს. მდინარის გასწვრივ ორივე ნაპირზე რამდენიმე წისქვილი იყო აგებული. აქ ყოველთვის დაინახავდით ურმებს, რომლითაც საფეხები მოტანათ. ჯერის მოლოდინში გლეხები დამხდარან ხის ქვეშ და საუბარი გაუბამთ. ლამდებოდა, როცა იქ მივედი ერთი განაპირა წისქვილი ავირჩიეთ და შევედით. ჭაღარა მეწისქვილმ გაკვირვებით შეგვაელო თვლი ქალაქურად ჩაცმულ ახალგაზრდებს მისი გაკვირება ბუნებრივი იყო. საფეხების მომტანს არ ვგაუდით გამო-

ცდელად შეგვათვალევინა და ფრთხილად იკითხა, ვინ ვიყავით, რა საქმეზე მივედით. ტიციანის პასუხმა, რომ პოეტები არიან და აქ ღამის გათუვას აპირებენ, მეწისქვილე საგონებელში ჩააგდო. არა, ასეთი ახირებული ხალხი არასოდეს არ სწევია. სიტყვა პოეტებიც მას არაფერს უუნებოდა. მაგრამ რაიმე შიშის საბაბიც არ მქონდა.

მართალია, არეული დროა, მტაცებლები თავისუფლად დათარეშობენ, მაგრამ თუ ესენი ავახაკები არიან, აქედან წასაღებს ვერაფერს იპოვიან, რას უნდა დაეხარბონ? ფქვილსა და ტომრებს?

კი, ბატონო, შემოდით, - არცთუ სტუმართმოყვარეობით შეგვიშვა წისქვილში.

სწრაფად ბრუნავს ოთხი წყვილი ქვა, რაკრაკებს სარეკელა, იატაკქვეშდინდარის წყლის ხმაური ისმის და დაკბილული ბორბლების ტრიალიან ერთად წისქვილის ხის შენობა ხანხარებს.

ჩამოვსხვდით სიმინდით სავსე ტომრებზე. ჯერ კიდევ სანდრო ცირკეტიმ საიდუმლოდ მიიხრა, რომ გამზადებული აქვს სიურპრიზი ტიციანისათვის და პაოლოსათვის. გახსნა პატარა შეკერა და ჩამოვირთვა მის მიერ გამოცემული მაღარმეს ლექსების წიგნი ქართულ ენაზე. პირველი ვგუშმლარები იყო, რომლებიც სახელდახელოდ დაამზადებინა სტამბას და აქ წამოელო მეგობრებისათვის დასარიგებლად.

დამერთო ჩემო! - დამაზად გამოცემულ წიგნს ფურცლავს ტიციანი და ჩემად ამბობს: - სად წისქვილი, სად მაღარმე, რამ გაფიქრებინათ ქუთაისში მისი გამოცემა?..

ტიციანის ტუჩებს ღიმილი არ შორდებოდა. კიდევ რაღაც უნდა თქვას, მაგრამ ამის ნაცვლად სანდროს ისე ეხვევა, თითქოს დანახაშაშაის პატრიოტად.

მგონი რავედენ გვეტაცებს წინადადება შემოაქვს მაღარმეს ლექსები იქნას წაკითხული.

არავითარი მაღარმე! - წამოიჭრა აქამდე ტომარაზე წამოწოლილი პაოლო. ქუთაისში ამის გამოცემა პროინციალიზმია და ობროდობა! არავითარი მაღარმე! აქ ქართული ლექსები უნდა ვიკითხოთ! პირველი თვითონ იწყებს. მისი დიდი ხმა წისქვილის ქვების ხმაურს ერთვის. ჯერ წაიკითხა ტიციანისადმი მიძღვნილი თავისი ახლადდაწერილი სონეტი. მატარებლით ნამგზავრ, მთელი დღის განმავლობაში მოუხეტებოდა ტიციანს დადლილობა ემჩნეოდა, მაგრამ პაოლოს ლექსმა უკრად ხალისი მისცა, გამოცოცხლდა და თვითონაც დაიწყო კითხვა:

...ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.“

მართლაც ისეთი მღელვარებით იტყოდა ხოლმე ლექსს ტიციანი, რომ გულის ნაწილს გაატანდა თვითველ სიტყვას როცა დაამთავრებდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს გული დაცალაო.

ტიციანი, პაოლო, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა აფხაძე, ნიკოლოზ შენგელაია, შალვა კარმელი, რადენ გვეტაცებ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და წისქვილში მათი ხმა დიდხანს ისმოდა. ამ უჩვეულო ამბავმა, როგორც ჩანს, გარეთ მყოფი გლეხების ყურადღება მიიქცია. ისინი ჯერ კარებთან შეჯგუფებული დგანან, შემდეგ თითო-ოროდ შემიდინან და მალე წისქვილი ხალხით ივსება. სოფლელებისათვის ბევრი რამ აუბათ გაუგებარი იყო, მაგრამ მაინც ყურადღებით და კმაყოფილებით უსმენდნენ ეს უჩვეულო სანახაობა ისე იტაცებს მათ, რომ ერთმა გლეხთაგანმა ნეშოთი თავდაცმული დოქი შემოიტანა, მეწისქვილს ჭიკა აღმოაჩნდა და სადღეგრძელოდ იქთქვა გლეხების პატრონსაცმად ჩვენმა პოეტებმა კიდევ წაიკითხეს ლექსები. და, აი, მოულოდნელად, ერთი კომიკური უხერხულობა შეიქნა.

გაგრძელება იქნება

სასახლში ჰგავდა გამოფატრულ ვეშაპის  
 სტომაქს...  
 ცვიოდა ტყვია... ინთხოვდა ელვა-შრაპნელი  
 და მთელ ქალაქში აფუებულ სიკვდილის  
 ცომად  
 იგრაგნებოდა სიძულვილი გველეშაპით.

მხატვრის სახლიდან გამობოდა ცეცხლის  
 ადქაფი  
 და მოათრევედა კუდზე მობმულ ფერად  
 სურათებს  
 ქაშეთი უკვე ექცეოდა კვამლის ადყაში,  
 ხეები, სკვერი, შენობები, ფერფლში  
 ცურავდნენ.

თითქოს ასობით შამპანურის ხსნიდნენ  
 საცობებს -  
 ღრუობდა ცეცხლი და სიკვდილი ჯვრების  
 დამთლელი.  
 ჰკლავდა მეზობელს მეზობელი... ნაცნობს  
 ნაცნობი...  
 ჰკლავდა ნათესავს ნათესავი... ქართველს  
 ქართველი.

აქა-იქ სისხლის გუბეები... ნაფეხურები...  
 კედლებზე სისხლის წარწერები... ფიცცი,  
 ქაღილიც.  
 ჯარისკაცები - დაღვრემილი  
 ბედურებით...  
 ძმა ძმას ესროდეს, სულ არ არის, ვიცი  
 ადვილი.

ისროდნენ ბრაზით, გინებით და ბოღმით  
 ისროდნენ  
 და სროლის შემდეგ სახეები  
 ჩამოსტიროდათ.  
 ექო ნაღმივით ასკდებოდა ისინი ვიწროებს  
 და ყრუ ქირქილად ბრუნდებოდა სანაპიროდან.

- როგორ მოღუდლა ეს დაცემა, რა გზით  
 მოვიდა?  
 - ბრბოს სიბრმავიდან და ელიტის  
 ყრუ-შუნჯობიდან...  
 უბირთა ციციკრონობიდან... ჰამლეტობიდან...  
 და ვინ თქვას: ლანძღვა-გინებაში ვინ ვის  
 ჯობნიდა!

აგერ ბიჭები... მისწოლიან ერთმანეთს  
 ცხრანი...  
 (მტრობის შხამს ჯობდა სიყვარულის ბაღხამს  
 ეთანა)  
 ისინი ერთ ღროს ჩაეგლისნენ დიდგორს  
 და კრწანისს,  
 მაგრამ ვაი რომ ჩახოცილან ბაზალეთთანაც.

ექო ხაფანგში გამომწყვედულ მხეცის  
 ჰგავს ღნაეილს,  
 ამნაირ ქაოსს ვერ დახატავს  
 ავანგარდისტიც.  
 ამ ბიჭს ჰგონია საქართველოს შესწირა თავი...  
 თ, არა შეილო! მოკლული ხარ მაჟანთ  
 ტახტისთვის!

ჯარისკაცების სახეები ჰგავდნენ მუგუზლებს,  
 ქვიშის ტომრებზე ჩაჩქანები კუს ბაკნებს  
 ჰგავდა  
 და აბაჟური ისე ხტოდა ყოველ გუგუნზე,  
 როგორც ტომარა, რომელშიაც ფხაკურობს  
 კატა.

თურმე როგორ ჰგავს შეეულმფრენი  
 მფრინავ კენგურუს...  
 რომ ემდგარიყავი სახურავზე, ალბათ  
 ჩამთლიდა.  
 და როგორც პირმშო, ფერად მწვანე მთლად  
 წენგოური,  
 ისროლა ბომბი ღაჯებშუა გახსნილ  
 ჩანთიდან.

ქაშეთის გუმბათს ეხვეოდნენ ყრმათა  
 სულელები...  
 ეთხოვებოდნენ ყრუ გინასით მშობელ  
 ქვეყანას.  
 ღამაზი იყო ეს ქვეყანა, მაგრამ სულელიც,  
 მათთვის რომ წირვა გამოეყვანა.

თაბებს ვიწყველი... ღმერთო, ღმერთო, რას  
 მოგვასწარი,  
 საით მიჰქროდნენ ის სულელები, საით კიოდნენ?  
 გვამების ყელზე მოხვეული სისხლის ბაწარი  
 ეპიტაფიად გრძელდებოდა საიქიომდე.

დედების მოთქმა ამ კვამლივით ცამდე  
 აატანს,  
 ვინა ვართ, რისი ერთგული და რისი  
 ორგული?

დიდმოურავის საამაყო შეილო პაატა,  
 შენ ანუგეშე ეს ბიჭები ძალად მოკლულნი.

ქართველისათვის ქართველია პირველი მტერი

### შოთა ნიშნიანიძე

# ბუნკერი



და პირველობას ვეწირებით. არ ვამბობ  
 ქირდვით.  
 ასეთი არი ჩვენი ერი, მეფეთა ერი,  
 ამ ჯოჯოხეთის და სამოთხის მარადი  
 მკვიდრი.

ყველანი აქ ვართ... (ერთმანეთი მოესპეთ,  
 მოუთხარეთ...)  
 ეხოხავთ მასრებში... ნანგრევებში...  
 მორიელეებში...  
 ყველანი: სტუმარ-მასპინძელიც, მტერიც,  
 მოყვარეც  
 დამხედურ-მომხდური, დამცველი თუ მოიერიშე.

წყალს დაეძებდი... და ვედროში ბამბას  
 ვაველებდი...  
 ზემოთ ისროდნენ... თათბირობდნენ ქვემოთ  
 ფარულად.  
 დიახაც ფეხზე წამომდგარა ტბა ბაზალეთის  
 და კიბე-კიბე, სართულ-სართულ  
 შემოპარულა.

მე დაეინახე ყბა მოემტერა ბოლოს  
 ბუღდოზერს,  
 აუზში ჩექმა დაეინახე, ლანჩის ტივტივიც.  
 მე დაეინახე: კარაბინის მბოლავ ღუღლაზე  
 მოკლულის სული შემომჯდარი დაჭრილ  
 ჩიტივით.

მთაშიც, წიგნებშიც დედა-ირემს სტკიოდა ცური,  
 ტიროდნენ ვაჟას დობილები დეკა და დეია  
 და მუზეუმში ილიას სურათს  
 კელავ დაეძებდა წიწამურში ნასროლი ტყვია.

მე ენახე უფლის ანგელოზთან ეშმას პოტინი,  
 ენახე დასჯილი სათნოება ყველგან მორჩილი,  
 ენახე სიავეც შემართული ეშაფოტივით,  
 თავისუფლებაც ტახტისათვის ყელგამოჭრილი.

მითხარით, რა ქნას, რა იღონოს ტყვიის  
 წვიმაში  
 ზურგ შექცეულმა პოეზიამ ან ეკლესიამ?  
 ერთიც, მეორეც უძღურია ამ ბრბოს წინაშე,  
 მაცხოვარივით ჯვარცმულია და... ეკლესია...  
 ახალწველს ღამით არ ისმოდა სიმღერის

ცუდად ეძინა გამწარებული იმერ-ამიერს  
 გარეთ კენესოდნენ დაჭრილები... ეყარნენ  
 მკვდრები...  
 შიგნით, ბუნკერში გუგუნებდნენ  
 მრავალუამიერს.

ერს ყელი თვითონ გამოეჭრას მისივე ნებით,  
 არა მგონია მომხდარიყოს ოდესმე სადმე.  
 რა გულით გვემდნენ ტყვე ქართველებს  
 ქართველი ძმები  
 და საქართველოს სადღეგრძელოს რა  
 გულით სუამდნენ!

აჰა, ათასი ბარიერით გზადაჭერილი,  
 ასე მგონია, გამოუდივარ რაიხსტაგიდან...  
 ცაა აბურღულ-დაქსელილი ცირკის  
 ტყერივით,  
 გასხებილ ხეებს კანონადამ რაიც დაჰკიდა.

ბუნხისპირ ცვივა უცხოური სიგარის  
 ფერფლი  
 და ჟურნალისტი წითელ კუნძებს კრაგებს  
 მიაშვერს,  
 თან ჩაინიშნავს: სულ სხვადასხვა  
 ჯალათიც, მსხვერპლიც  
 არეულია ამ უგმირო ტრაგედიაში.

თბილისო, ჩემო ტკივილო და ჩემო აღერსო,  
 რით განუგეშო ან რა პირით გემუსაიფო.  
 ჩემო ბუბერო ბაბილონო, რომო, პარიზო,  
 წმიდაო მექავ, უწმიდესო იერუსალიმო,

კვამლის მანდილი მტერმა ბევრჯერ,  
 ბევრჯერ დაგხურა,  
 მაგრამ ათასჯერ დამწვარი და შხამის  
 დამლევი,  
 შეიღების ხელით გადამწვარი და  
 გაღახული  
 ათასჯერ უფრო მემწარები და მებრალები.

იტირე ერო, შენი თავიც, შენი  
 სისხლ-ხორციც,  
 იტირე, თუკი შეგიძლია კიდევ ტირილი,  
 მაგრამ იცოდე, კიდევ გელის დიდი  
 სიცოცხლე  
 და სანგრებიდან არ გაიქცე დეზურტირით.

მოგეყავს დაჭრილი... იღეწება მანქანის სარკე...  
 ეცემა ბინდი და ქაშეთზე მთვარე კანკალეებს.  
 ამ მტირად ექთანს მე პაწია ანგელოზს  
 ვარქმევ,  
 ამ გოროზ ექიმს, რა თქმა უნდა,  
 მთავარანგელოზს.

გარშემო ჭურვის ნამსხვრევეები ცვივა  
 უღრიალით...  
 ვჩქარობთ სამივე...  
 ქვის კიბეებთან დგას მანქანა  
 წითელჯვრიანი  
 იარაღაყრილ დატყვევებულ ჯვაროსანივით...



# ბიძა ენას გვგლოჯინენ...

სტანოვარაძის ანბარში საქართველოს მშობლიურ ღია პრაქსისა.  
1978 წლის 11 აპრილი. პრაქსის თანამშრომელი - ნ. ლომიძე

თავდაჯერებულ - სიტყვას ვაძლევ  
გაცივებო.

**ბიძა ენას გვგლოჯინენ** - ამხანაგებო, თითოეულ ჩვენგანს, ვინც აქ გამოვიდა ან გამოვა, ასეთი მღვდლარება დიდი ხანია არ ვანუცდია. ეს არ არის შემთხვევითი, რამდენადაც ეს მღვდლარება დღეს მთელი ქართველი ხალხისათვის არის დამახასიათებელი და ეს კარგად არის. რა ცუდი იქნებოდა, რომ ჩვენ, ქართველები, ჩვენს ძირითად კანონს გულგრილად შევხედვოდით, არ გვეკამათა, ზოგიერთ პუნქტს ტყვილით არ გამოეწვია და ზოგიერთი სიხარული. ეს იქნებოდა ქართველთა დენაციონალიზაციის და იმის გამოშავებული, რომ ჩვენ დაკარგეთ ეროვნული თვითშეგნება. თუ საბჭოთა მოქალაქისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი ეს მოქალაქეობრივი ვიწროება, პატრიოტიზმი, თავისი ქვეყნის სიყვარული, ეს კომპლექსი კარგად გამოჩნდა ქართველ ხალხში.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება ყველა ერთნაირად ვიქნებოდეთ, არ შეიძლება ყველას ერთნაირად გვესმოდეს ეს პუნქტი. მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ მთელი საქართველო იქნებოდა, აკრიტიკებს ზოგიერთ მუხლს, ეს ჩვენი საზოგადოების დიდ სიმადლებს, სიმტკიცეს და მის მომწოდებლობას გულსხმობს. პატრიოტიზმს, მოქალაქეობრივობას და ეროვნულობასაც.

იმავ დროს, ეს ისეთი საკითხია, რომ ჩვენ ყველანი შინაგან მღვდლარებას ვანიჭებდით, მაგრამ არა ვაქცხვ უფლება ავეყვით ჩვენს ენებს. უფრო გულდინჯად, უფრო მშვიდობიანად, შორს გამოიხსნებოდა უნდა შევხედოთ, არც მუხლებს ვაკარგვთ. აღმოსავლური ანდაზა - მამაბებობა მხოლოდ ლამაზ ქალს ეკადრება და ისიც არა ყოველთვის. არ შეიძლება ხალხმა მამაბებობა შეხედოს ასეთ მოვლენებს და თავისი სურვილები მხოლოდ იმ კუთხით განწყობილებით წარმოახსოს და ისტორიულ სინამდვილეს ითვალისწინებდეს, ძველს არ ითვალისწინებდეს და სხვა კონკრეტულ ფაქტორებსაც.

ბუნებრივია, რომ ჩვენთვის 75-ე მუხლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მე თავს მივეცი უფლება საერთოდ ვთქვა კიდევ ერთი მომენტზე, რომელიც არ უნდა გამოგვჩივს ჩვენ.

აქ ძალიან კარგად ილაპარაკეს ჩვენი კონსტიტუციის სრულყოფილებაზე, მის სიმკაცრეობაზე, იმაზე, რომ ის ხალხისათვის ზრუნეთ არის გამსჭვალული, რომ ის არის დღევანდელი ისტორიული მემკვიდრეობა და სხვა კონკრეტულ ფაქტორებსაც.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „საქართველო“ №4, 5, 6, 7, 8

როელი პირობებით განპირობებული და ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს III თავს. არც ერთი კონსტიტუციაში არ ყოფილა ასეთი თავი „სოციალური განვითარება და კულტურა“. განსაკუთრებით ხაზგასმულია კულტურის რაობა, გარანტირებულია მისი განვითარება და ჩვენ, კულტურის მუშაკებს, არ შეევიძლია ასეთი მთლიანობაში არ შევხედოთ მას. არასდროს არ ყოფილა, რომ კულტურა ასე გამოყოფილი ყოფილიყო და ეს ამ ჩვენს კონსტიტუციაში არის და არ შეიძლება ჩვენ ეს არ ვვანარებდეს.

მე წავიკითხე 27-ე მუხლს: „სახელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რომ დაიცავს, ამრავლოს და ფართოდ გამოიყენოს სულიერი ღირებულებანი საბჭოთა ადამიანების ზნობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული ღირის აძლევს სათვის“. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტია, რომელიც გარანტირებულია ხდის საბჭოთა ხელშეწყობის და მათ შორის, ლიტერატურის განვითარებას.

თქვენ მოგვსენებთ, ვლენტიანის პერიოდში, ხრუმის პერიოდში, როდესაც ისეთი თეორია წამოაყენეს, რომ ხელოვნება უნდა განვითარდეს, არა პროფესიონალიზაციით, არამედ ხალხური შემოქმედებით. ამ პუნქტში არის: საქართველოს რესპუბლიკაში ყოველწლიურად უწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას“. ეს ძალიან მნიშვნელოვანია დაფინანსების თვალსაზრისით, შტატების და სხვა, რომ პროფესიული ხელოვნებას სათანადო ყურადღება მიექცეს. ამავე დროს ძალიან საინტერესოა, რომ ხალხური მხატვრული შემოქმედება ეს არის ეროვნული ძირები და, მაშასადამე, გარანტირებულია როგორც მისი ეროვნული ძირები, ისე პროფესიული ხელოვნება, აქ არის „უზრუნველყოფის მექანიზმების გვერდობითი განვითარება“. თქვენ იცით, რომ დიდი წინააღმდეგობა პქონდა პუბლიცისტურ მექანიზმებს იმ პერიოდში და ეს აღიკვეთა, რაც ლაპარაკობს იმ დიდ მზრუნველობას და იმ განსაკუთრებულობაზე, რომელიც ამ პუნქტს ჩვენთვის აქვს.

ახლა ჩვენ მოსაზრებას მოგახსენებთ იმ პუნქტზე, რომელიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

ამხანაგებო, თქვენ კარგად იცით, რომ მარტო ერთი შედარებით არ შეიძლება საქმის გაკეთება. ამიტომ სამდივნოს ძალიან დიდი ჯაფა დაადა, რომ წარმდგარიყო ზემდგომი ორგანიზაციების წინაშე დღევანდელ პირობებთან შესატყვისი გონივრული მოსაზრებით, გამართული პუნქტით - ზოგიერთი ამხანაგი ისეთ აქტებს აკეთებს, თითქოს ტრიბუნაზე გამოსულიაგან ორი კატეგორია - ერთი, რომელმაც არ აფერხს კარგავენ და მეორე, რომ-

ლებიც შემოვიტევილი არიან რადაცის გამო (სიცოცხლე, ხმა - სწორია). ამხანაგებო, ამას უნდა ვერაფერი, არავინ იფიქროს, რომელიმე მწერალს, რომელიც დაკავშირებულია თავის ენასთან, ნაკლებ უყვარდეს თავისი ენა. სწორედ ასეთი გულწრფელი-ობით წარმართა ჩვენი გუმინდელი შეხვედრა და იმდენი მკვეთრი შენიშვნა გააკეთეს ამხანაგებმა ცეკაში, რომ სხვა მხრივ შეუძლებელი იყო.

რა სიბოთით, რა სიმტკიცით, რა პირდაპირობით იყო იქ ლაპარაკი. ჩვენ მას ვვლავარაკეთ არა როგორც პირველ მდივანს, არამედ როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელს, როგორც ქართველ კაცს და საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს (ხმა - რა გიპასუხებ, ბატონო ვიორგი?)

ამხანაგებო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ პირველი დეკრეტი, რომელიც გამოვიდა რუსეთში, ეს იყო სახელმწიფო ენის აკრძალვა (ხმა - რუსეთში რუსულია სახელმწიფო ენა). აი, ამიტომ გავკვირდა (საერთო ხმაური)... მე ვთხოვთ, ნუ შემომოთხელს. მოუხსინით ერთმანეთს.

მე ასე წარმოვიდგენია ამხანაგებო, რომ დღევანდელი პირობების გათვალისწინებით, სოციალისტური ინტელიგენციის გათვალისწინებით - სხვადასხვა რესპუბლიკები რომ არიან, არის საერთო სახელმწიფო, საერთო ხელისუფლება, ჩვენ ვერ შევძლებთ იმ პუნქტის დაცვას, რომ ქართული ენა იყოს სახელმწიფო ენა (დარბაზში ხმაური). ხმა - რა გვჭირს დასაცავი?..

მე მინდა დაუფარავად, მკვეთრად ვილაპარაკო. შეიძლება თქვენი ფიციები გამოწვეულია იმ პუნქტით, მაგრამ როდესაც არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკაში არ არის, არც საბჭოთა კავშირში არ არის არც ერთი ენა სახელმწიფო ენა, მთელი ჩვენი მუშაობა წარმართა იქითკენ, რომ შევეცდომებინა ყველა კონსტიტუცია და მოგვეწოდებინა ასეთი პუნქტი. ასეთი პუნქტი მინახა და ნახეს ჩვენი კონსტიტუციის წიაღში - საკავშირო კონსტიტუციაში, სადაც ნათქვამია „რესპუბლიკის ენა“. ამიტომ შევთავაზეთ ეს ქარიანტი რესპუბლიკის ენა. ამრიგად, ამით ხში გაყვა ქართული ენის პრიორიტეტს საქართველოს ტერიტორიაზე. უკეთესი გამოსავალი ჩვენ ვერ ვნახეთ (ხმა - სწორია, სწორია). ეს შესანიშნავი პუნქტია, რომ რესპუბლიკის ენა არის ქართული ენა. ეს მნიშვნელოვანწილად ეწვეილება იმ განმარტებას, „სახელმწიფო ენას“ (ზ. ჭუმბურიძე - მაგრამ აქედან უკან დახევა აღარ შეიძლება). ამიტომ შემოვიტანეთ ეს წინადადება, რომ საქართველოს კონსტიტუციაში შევიტანოთ აი ეს პუნქტი რესპუბლიკის შესახებ.

ბუნებრივია, დადგა საკითხი - რა უკეთ იმ ფორმულირებას, რომ სახელმწიფო ზრუნავს ქართულ ენაზე თქვენ იცით, კონსტიტუცია ათი წლით არ იწერება. შემდეგ ვინ იქნება მეთაური, ვინ იცის, ამიტომ შევიტანეთ ეს ელემენტი - ზრუნვა ქართულ ენაზე და ეს პუნქტი მოითხოვდა მეორე ნაწილს, რომ „არ სარგებლობდეს პრივილეგიებითა და შეზღუდვებით“ საქართველოს პირობებში, როდესაც ჩვენთან ცხოვრობს მრავალი ეროვნება. და ამრიგად, მთლიანად ასე ჩამოყალიბდა ეს მუხლი, უკეთესი ვარიან-

ტი არ შეიძლება და ისიც ვთქვი - თუ ეს არ გამოვა, მაშინ მთლიანად მოხსნას ეს პუნქტი. ჩვენ ამაზე შევეთანხმეთ, თუ ვინ, ვინც დაეცა, ნიუანსები გვეჩვენა.

დღევანდელ პირობებში ის, რასაც ითხოვს მწერალთა კავშირი, ეს არის და არა მარტო ის - ვინც აქ იყო, დაამტკიცოს ყველამ, თუ ამის მიღწევა შეუძლებელია, მაშინ მოვიხივებთ იმ პუნქტის მთლიანად ამოღებას.

ყველაფერი მაინც ჩვენზე დამოკიდებული, ხალხზე დამოკიდებული - როგორ შეინახავს, როგორ განავითარებს ენას. რა თქმა უნდა, კონსტიტუცია დიდი ფაქტორია, დიდი აქტია, მაგრამ არანაკლები აქტია თვითონ შენი ენის სიყვარული, მისი პატივისცემა. ეს უნდა გავაღვივოთ იმდენად, რომ თუ ხალხი ენას არ შეინახავს, თვით კონსტიტუცია ენას ვერ შეინახავს.

**თავდაჯერებულ - სიტყვა ეძლევა**

**ლალო სულაბაძე** - მე ბევრი აღარ დამჩნა სალაპარაკოდ. გასაგებია ის მღვდლარება, აზრთა სხვადასხვაობა რამაც გამოიწვია.

აქ გაისმა სიტყვა ძალდატანება. აქ არავითარ ძალდატანებას არ ვხედავთ. ჩვენ მოვეცხვ საჯარო განხილვის საშუალება. აქ ძალდატანება ამ შემთხვევაში არ შეიძლება ვიხმაროთ, ის მუხლი ასე შევიცვალა, სხვაანაირად შეუძლებელია. საუკეთესო ვარიანტი იქნა გამოჩნებული გუშინ პრეზიდენტის მიერ, რესპუბლიკის ენა იფიქრეს ნიშნავს. მე მიმანჩნა, რომ თუკი ეს მუხლი არ შეიცვლება ძველზე, ეს არის საუკეთესო ვარიანტი, რაც წარუდგინა პრეზიდენტმა ცეკას.

მე მინდა ბატონ თამაზს აუფხა მხარი. მან ერთი კარგი საკითხი დააყენა. მთავარი მაინც ჩვენა ვართ. ბევრ რამეში ვაშაგებთ, ჩვენი ქართული ენის დაცვა ჩვენს ხელშია, მე მიმიხდა იმ ერთში ჩასულა. შევედი სკოლაში და აი რა მოვისმინე: მასწავლებელი ბავშვს ეუბნება - „ბავშო, მიდი იქნებ, დაკეტე ის აკომპა“. ჩვენ უნდა მოუვაროთ ჩვენს ენას სკოლაში. ჩვენ კონსტიტუციაში გვიწერია ზოგადი განათლების შესახებ და ჩვენ ვერ ვუვლით ქართულ ენას სკოლაში (ხმა - ვინ არის ეს ჩვენ?). ჩვენ თვითონ, ქართველები ვერ ვუვლით ქართულ ენას (ხმა - ამიტომ აღარ გვინდა ქართული ენა?) (ხმაური). არავინ გვიშლის ქართული ენა დაეციეთ (საერთო ხმაური). გამოდის უამრავი თარგმნილი წიგნი, რომლებშიც ძალიან ჩახვევა გვეპირობება.

ისეა დაგვიჩნა, რომ ჩვენს ხელმძღვანელობას ვთხოვთ ჩვენს მიერ შეტანილი წინადადება ექნას მიღებული.

**თავდაჯერებულ - ქალბატონ თინა დონ** - ქალბატონ ვაძლევ სიტყვას. მეგობრებო, ძალიან ვთხოვ დაწინარდეთ. თუ არ დაუვდებთ ყურს ერთმანეთს, არაფერი არ გამოვა (ხმა - თვარა, ისე გამოსულია) (სიცილი).

გაგრძელება იქნება

# სახელმწიფო ჩანაწერები

# ქართულში

## ფსიქოლოგიური აზიუღაბი

### ვახტანგ გოგუაძე

ეგ არაფერი, რომ სწორი არაა. რატომ ვარ იცი გულზე გახეთქილი? მთელ ამ პასუხში საგანგებოდ არაა ნახსენები ჩემი სახელი და გეორგი ნაცვლიძე ამისა ახსენებს, მიწოდებს „ყმაწვილ რეკონსტრუქციას“. მაშინ ბატონი ოთარი იქნებოდა ასე ორმოცდაათი წლის მიდამოებში. მოკლე, ცოფსა ჰყრის ისე, მე მგონი, მეტი ვაბრაზებუბა-გაბოროტება შეუძლებელია, ისე სძულს კონსტანტინე.

- ბატონო ოთარი, არ შეუირიდებთ?

- დაიკარგოს ერთი.

- მაშინ მოდიოთ და მეგრელებმა კონსტანტინე გამსახურდია გადაგვიცვალებთ ეგნატე ნინოშვილზე.

- ოოპ, მეტი რა გინდა მოხარშული წაბლიც ხომ არ გინდა ერთი კლასიკოსი გამოგვიყვია, ესეც გინდათ წავაგართვათ?

- ნახეიარ წუთში ის ოთარი სხვა იყო ამ ოთართან შედარებით ასეთიკაა ქართული „სიძულელი“.

\*\*\*

აღექსანდრე მაკედონელს ინდო-

### ვახტანგ გოგუაძე

ეთიდან საჩუქრად გამოუგზავნეს უზარმაზარი ძალდი დაინტერესდნენ, რის შნო და მარიფათი აქესო გამოუყვანეს მეგლი, ზედაც არ შეხედა გამოუყვანეს დათვი - არც ის გახადა ყურადღების ღირსი. გამოუყვანეს ღომი - აი, ეს მესმის და გოგანტური ძალდი დაეპტეკა ღირსეულ მეტოქეს რამდენი ჩიტბრეკია რადაცას დაბეჭდავს და ტბებზე შენდამი საკუთარი სიძულდილით, რა უნდა ეკამათო. არაუისზე მადლა თავი არ უნდა დააყენოს კაცმა ბავშვის, გლეხის, მუშის, პროფესორის შენიშვნა ღირსია ყურადღებისა. მაგრამ უკაცობასა და ცარიელ სიძულდილითან კამათს აზრი არა აქვს და არც ღირსია პასუხისა. ქადაქური ვარგონით ასე იტყვიან: „წადი, რა, გაიარე, ტოლი ნახე“.

\*\*\*

მთელი დღე შემოვირბინეთ ფლორენციის საოცრებანი. დადლილები მანქანაში ესხდებიან ნუგზარ საჯაია, თედო ნინიძე, ზურაბ უფანია (არამწეხანე) და ბუგი თავართქილაძე.

- თედო, თუ წავიკითხავს ასეთი წიგნი

\*\*\*  
ჩვენს კურსზე სწავლობდა ერთი კაცი, სასტუდენტო ასაკს გადაცილებული. სახელად ერქვა და ჰქვია ინგიშტერი. პირველად ყველას გვერიდებოდა სახელის დაძახება, ერთხანს ვეძახდით „თქვენ“, „თქვენ“. მერე რომ შეეყვითეთ, ეს გრძელი სახელი ორად გაიყო: „ინგიშტერის“ ნაცვლიძე სიყვარულით ზოგი ინგის ეძახდა, ზოგიც შტერის. ერთხელ სეხნია გოგოლაშვილი ეკითხება - შენ, დოთიანად, მითხარი ერთი, მამაშენი მეცნიერი იყო?  
- არა.

- არა? მაშინ წინასწარმეტყველი ყოფილა. თითო ბავშვს რომ-ისეთ ზუსტ სახელს შეუჩრქე, მთელი ცხოვრება ასე პატრონსად რომ გაამართლებს. არა, მშაო, წინასწარმეტყველის მეტი ვერ შეძლებდა. ხუმრობა არ წყინდა. გეიყვარდა მამლას ახლა კრიტიკოსობა დაუწყია.

\*\*\*  
რატომ არ პასუხობ, როცა პრესაში გადამდებენო.

ოცდაათი წლის წინათ (თარიღებს მეტისმეტად მსხვილად ვამრავლებ, როცა ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს) უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ. ჭადრაკში ეხედებო ცნობილ გერმანისტს, კაი კაცს, ბატონ ოთარი ჯინორიას იგი ვიდაცას ფიქრში ებრძოდა. რომ შემომხედა, ჩამოვიდა პროზაულ მიწაზე. - ოოპ, მოდი, რა გაჩვენო. სინდისი აქვს ახლა მაგას? ოხ, მაგის... (ღამის შეივინოს).

- რა იყო ბატონო ოთარი?

- კაცო შენ ხო ვახსოვს, კოწიას (გამსახურდიას) ესხეს რეკონსტრუქციის დაუწყურე ამას წინათ შეცდომები იყო და გაეუსწორე. ახლა მიბეჭდავს პასუხს.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „საქართველო“ №6, 7, 8

„შექსპირი და იტალია“

- არა, ბატონო ვახტანგ. კარგი წიგნია?

- როგორ? - მაგრად გაიკვირვა თედომ.

- არ იცი, მე მგონი, არც არსებობს ასეთი წიგნი.

- აბა რატომ მკითხეთ? - მეკითხება გაცინებულ-გაოცებულ თედო.

- იცი, რატომ? შენ ხარ წიგნიერი კაცი, ნაკითხი კაცი, ნაკითხ ადამიანებს აქეთ ზოგჯერ ასეთი თვისება. ვერ წარმოუდგენიათ, თუ საინტერესოა ვერ არსებობს და მას არ წაუკითხავს. მე იგივე კითხვა მივეცი მრავალი ენის მცოდნე, ერთ უადრესად ნაკითხ კაცს მან მითხრა, წაკითხული მაქვსო. როგორი წიგნია, რომელ ენაზე წაკითხე. ცდილობს ზოგადი პასუხებით მომიშოროს ბოლოს ვუთხარი, რატომ სტყუი, არ გაქვს წაკითხული-მეთქი. როგორ თუ არა, მამ შენ ტყუილს ვიტყვი? - გაცხარდა მაშინ ჩემი მოკამათე. - კი, ტყუილს ამბობ, რადგან ასეთი წიგნი არ არსებობს. მაშინ შენ რატომ იკადრე ტყუილის თქმა, თუ არ არის ასეთი წიგნი, - აქეთ დამლო ბრადი... ასე რომ, იუსტიციის მინისტრო, მომწონს შენი უყოფნაო და პატიოსანი პასუხი. ეი, ტყუილის თქმა არ გიყვარს. (სხვათა შორის, თედოც ჩემი ყოფილი სტუდენტი გახდავით).

\*\*\*

იგივე შემადგენლობა ნეაპოლიდან რომში მივიდვართ ავტობუსით. იტალიაში მძღოლმა გზა ვერ გაიგნო რომში შესასვლელად. დამის პირველი საათია. ქუჩაში კაცის ჭკაჭკაზე არ არის ბოლოს ბეგის ვეუხები - უთხარა მაგ მძღოლს, დაარდების მოძრაობის წესი. მარჯვლად ასე მოიქცა. იმ წუთშივე გაჩნდა პოლიციელი და დაგვაკედიანა.

\*\*\*

გაგრძელება იქნება





# ნუგზარ ფოფხაძე: ინაური სწორად გაუინ ფსიქოლოგია, როცა... ეძინა

მეორე გვერდიდან

ით 1937 წლის ძველ, მოუშუშებელ იარებს ჩვენ მარტილი მოვარათ, ეს ფილმი ჩირქს სცხებდა ზოგადად - საბჭოურ და, კონკრეტულად - უშიშროების მთელ სისტემას. ვეკვობ, მისი „ჩაწოდებით“ მოაწყო პატიაშვილმა ამ ფილმის უნებარ- თვო ტრიაჟირების ფაქტის კრი- ტიკული განხილვა ცუ-ს ბიუროს სხდომაზე. ასევე, უმცარესი იყო „კა- გე-ბეს“ გალაშქრება ამ ფილმის „ბა- ტრონის“ - საქართველოს ტელევიზიის მიმართ - მოსკოვის ხელმძღვანელ ორგანოებში გაგზავ- ნილმა წარდგინებამ, საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელობას ბევ- რი უსიამოვნება შეახვედრა. მაგრამ ამაზე სხვა დროს.

სხვათა შორის, პირადად ინ- აურის სახელთან არის დაკავშირ- ბული ზოგიერთი სხვა მოვლენაც, რომლებიც დღესაც კი საზოგადოე- ბრიობის ვნებათა ლეღვას იწვევს. ერთი განსაკუთრებული მნიშვნელო- ბისა გახლავთ: ეს არის 1983 წელს თვითმფრინავის გატაცების მცდე- ლობის ტრაგიკულად დამთავრებუ- ლი ამბავი.

გამტაცებელთაგან თვითმფრი- ნავის განთავსულების ოპერაციას, რომელიც მოსკოვიდან ოპერატი- ვულად ჩამოტვირთილმა სპეცდანიშ- ნულების რაზმმა „ალფამ“ განახ- ორციელა, უშუალოდ უხელმძღვ- ანელა გენერალმა ინაურმა. ამის მოწმე თვითან ბოლომდე პირადად მე ვარ - ტელერადიოკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე, და ჩემს პროფესიულ მოვალეობად მივიჩ- ნივ ყველა საშუალებითა და ხერხ- ით შემდგომი მოვლენათა ცენტრ- ში. ამავე მიზეზით ასევე ინფორმირე- ბული ვარ იმის თაობაზეც, რომ „კა- გე-ბეს“ და უშუალოდ მისი ხე- ლმძღვანელის ზეგავლენასთან არის დაკავშირებული სასამართლო გან- აჩენის უსასტიკესი შედეგები. შორს გამიზნული დასკვნებისგან თავს ვიკავებ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ტრაგედიიდან რამდენიმე ხნის შემ- დგე საქართველოს „კა-გე-ბეს“ შეფს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს.

ამ ტრაგედიას უკავშირდება კიდევ ერთი ამბავი, რომელსაც საჯაროდ პირველად ვყვიბი, თუმ- ცა, ტელევიზიის თანამშრომელთა ვიწრო წრემ ეს საიდუმლო დღემ- დე შემინახა.

თვითმფრინავის გატაცების ფაქტთან დაკავშირებული ტელე- ვიდეოკამერის შემდეგ 1984 წლის აგვის- ტოს ბოლოს, ინაურის მითითებით ტელევიზიაში საგანგებოდ გამოგ- ზაენეს „კა-გე-ბეს“ თანამშრომლე- ბი, რომელთა თანდასწრებით უნდა განდგურებულიყო იმ სასამართ- ლო პროცესის ვიდეოჩანაწერი - 12 „საყოფაქობოვებო“ და 4 სტა- ციონარულ ვიდეოკამერებზე ჩაწერ- ილი გადაცემის მასალები. საგანგე- ბოდ შევარჩიეთ „სალიკვიდაცია კომისია“ და განდგურების აქტს ჩვენებთან ერთად ხელი მოაწერეს ჩეკისტებმაც. მაგრამ ყველაზე მთა- ვარი და მომავლისთვის საჭირო კასეტები... მაინც გადარჩა.

ჩემი მითითებით და პირადი პასუხისმგებლობით, ტელერადიო- ცენტრის დირექტორმა გივი ბენ-

დუქიძემ და მისმა ორმა თანამ- შრომელმა, პროფესიულად გაითა- მაშეს განდგურების სცენა, „გა- ცურეს“ უშიშროებიდან გამოგზავ- ნილი ზედამხედველები და მათ თვალწინ მოსპეს სხვა ვიდეომასა- ლა - თერთი უკვე წასული ტელე- ვიდეოკამერის ასლები. გადარჩენილი კასეტები უშალე ჩამბარდა და ისინი შეფუთულ-დალუქული შესანახად მივაბარე. ჩვენი სპეცგანყოფილებ- ის უფროსს მხანჯავებს - ტელე- ვიდეოკომიტეტში „კა-გე-ბეს“ ოფიციალურ „თვალს და ყურს“. მივიჩნიე, რომ ეს სვლა უფრო საიმე- დო იყო - კასეტების გადარჩენის ფაქტის გაყონვის შემთხვევაში მწელად თუ ვინმე დამბარალებდა კასეტების სხვა მიზნით გადაშლვას, ისიც... „კა-გე-ბეს“ ფილიალში.

არ დავმალავ, ამ შემთხვევამდე რამდენიმე თვით ადრე, ვილაცამ „ჩამიშვა“ და ინაურმა პირდაპირ თავის კაბინეტში მიმატანინა და ჩამომართვა თვითმფრინავის გატაც- ბასთან დაკავშირებული ზევა ფო- ტომასალა. ახლაც შიში მქონდა, რომ განმეორების შემთხვევაში სე- რიოზული უსიამოვნება არ ამცდე- ბოდა. ამიტომ თავის დაზღვევის მიზნით იმავე საღამოს, ყველაფერში საიდუმლოდ გამოუტყდი... ედუარდ შევარდნაძეს. დიდი დრო არ დამ- ჭირებია იმის ასახსნელად, თუ რა- ტომ გადავდგი ეს ნაბიჯი და საჭიროების შემთხვევაში ვთხოვე მფარველობა. მითხრა, სწორად მოქცეულხარო და თვალისჩინივით გაუფრთხილდი მაგ მასალას, დადგე- ბა მაგის დროცო; ინფორმაციის „გაყონვის“ შემთხვევაში, შეგიძლია თქვა, რომ კასეტების შენახვა პი- რადად მე დაგვაკლავს!

როცა გამსახურდისა დროს „დოკუმენტის კომისიამ“ ამ ტრაგიკული ამბების გამოკვლევა დაიწყო, ჩემმა ტელევიზიისდროინ- დელმა თანამშემემ, შემდგომ „ახ- აღგაზრდა ივერიელს“ რედაქტორ- მა მერაბ ბალაჩიშვილმა, რომელიც ჩვენი საიდუმლო „ოპერაციის“ საქ- მის კურსში იყო, საჭირო ინფორ- მაცია მიაწოდა. ამ კომისიას და კასეტები გამოშვებულა.

...საქართველოს „კა-გე-ბეს“ შეფი თავისი ეპოქის შვილი, კო- მპარტიისა და წყობის აღზრდილი და უფრთხულესი ადამიანი იყო. იგი, რა თქმა უნდა, არ იყო მარტივი კაცი - ასაკოვანი გენერალი სხვა- დასხვა თავყრილობებზე ხშირად თვლებდა, მაგრამ, ამ „სისუსტეს“, დელიკატურად, ვერ „ვაჩინებდით“, რადგან როგორც წყუმიად ჯხუმრობ- დით ხოლმე, ინაური სწორედ მა- შინ ფხიზლობდა, როცა... ეძინა!

მარტო იღბალს ვერ დააბრალე იმას, რომ, ვგონებ, სწორედ მან მოხსნა აშშ „ფედერ- ალური საგამოძიებო ბიუროს“ ლეგენდარული შეფის ჰუვერის რეკორდი - თანამდებობაზე იჯდა... 36 წლის (!) განმავლობაში - 1953 წლიდან, როცა დამთავრდა „სტა- ლინ-ბერიას ეპოქა“ და ხრუშჩოვმა საქართველოს კომპარტიის ცუ-ს პირველ მდივნად კიევიდან ვასილ მქავანაძე მოავლინა, „კა-გე-ბეს“ შეფად კი - კარპატებში განლაგე- ბული კავალერისტთა დივიზიის მეთაური ალექსი ინაური. სხვათა შორის, მისივე მონათხრობით, მას საქართველოში არ უცხოვრია 1925


წლიდან, მას შემდეგ, რაც გორე- ლი ჰაბუკი კომკავშირული რეკო- მენდაციით სახმდრო სასწავლებელ- ში გაგზავნეს.

ინაურზე ვერავენ იტყოდა, კორუმპირებული იყო. პირიქით. საზოგადოებრივ, დაუნდობელი და უმე- ცრესი ხელმძღვანელი იყო, სრული- ად შეუწყნარებელი იმით მიმართ, ვისაც ანტისაბჭოურ ელემენტებად თვლიდა. სისტემის წინაშე ვეე- ბერთელა დამსახურება ჰქონდა, რაც აღნიშნული იყო კიდევ ყველაზე საბატო ჯილდოებით; უცვლელად იყო სსრკ და რესპუბლიკის უმაღ- ლესი საბჭოს დეპუტატი, ჰქონ- და გენერალ-პოლკოვნიკის წოდე- ბა, რაც იშვიათი გამოხავლის იყო რესპუბლიკების „კა-გე-ბეს“ უფროსებისთვის. 1964 წელს, მთავრობის ბიჭვინთის რევიდენცია- ში ხრუშჩოვის იზოლაციის ოპერა- ციაში შეტანილი წვლილის გამო, მას განსაკუთრებულ პატივს სცემ- და ანდროპოვი, აღიარებდა სსრკ უმაღლესი ხელმძღვანელი ობა. საჭიროების შემთხვევაში, მას ტელე- ფონით პირდაპირ უკავშირდებოდ- ნენ ბრეჟნევი, შემდგომ - გორბა- ჩოვიც. ისინი, როგორც წესი, მას დაბადების დღეებსაც კი პირადად ულოცავდნენ.

მისი რეალური გავლენის ერთი მთავარი ინსტრუმენტი ის იყო, რომ „კა-გე-ბესთან“ ანუ ინაურთან კონ- სულტაციის, მისი დასკვნისა და თანხმობის გარეშე, რა თქმა უნდა, არცერთი ხელმძღვანელი, მით უმეტეს მოსკოვის ნომენკლატურულ თანამდებობაზე, არ ინიშნებოდა. ყოველივე ეს, ბუნებრივია, საიდ- უმლოს არ წარმოადგენდა პარ- ტიულ-სახელმწიფოებრივი ელიტ- ისთვის, და რა გასაკვირია, რომ არამცთუ ერთდებოდნენ მასთან კონფლიქტს, არამედ ეშინოდით კიდევ მისი.

80 წელს გადაცილებული „ბე- ბერი ლომის“ მუშაობის საღდაფო- ნური სტილი და იდეურ კონსერ- ვატიზმზე დამკვიდრებული უკომ- პრომისობა, პრაქტიკულად გამორ- იცხვდა ცუ-ს მხრიდან არაფორ- მალეობით სერიოზული და მუდ- მივე დიპლომატიის შესაძლებლობას, რასაც იგი სამშობლოს ღალატის ტოლფას დანაშაულად მიიჩნევდა. თანაც, ეს უკვე შევარდნაძის პირველმდინდობის პერიოდში არ იყო, როცა ინაური მაინც იძულებული იყო ანგარიში გაეწია მისი ავტორი- ტეტისთვის. 1978 წლის 14 აპრი- ლის მსგავსად, როცა შევარდნაძის პირადი რისკით თავიდან ავიცილეთ „სახელმწიფო ენის“ პრობლემასთან დაკავშირებული უმწვავესი დაპირ- ისპირება, 1988 წლის პირველ ნახ- ევარში ეროვნულ მოძრაობასთან გართულებების პერიოდში, ინაუ- რისთვის ასეთივე წინააღმდეგობის გაწევას პატიაშვილის პირადი თვისე- ბები, გამოცდილება და ავტორი- ტეტი აშკარად არ ჰყოფნიდა. და როცა 1988 წლის ნოემბრის მე- ორე ნახევარში ინაურმა თანამდე- ბობა დატოვა და ამ ადგილზე გუმ- ბარიძე დაინიშნა, პატიაშვილმაც, ალბათ, შევებით ამოისუნთქა.

თუმცა, უნდა გამოვტყდე, რომ ის, რასაც ახლა ვიტყვი, საკუთარ თავთან და ზემოთქმულ მო- საზრებებთან, შესაძლოა წინააღმ- დეგობაში მოვიდეს. პარადოქსიც ეს



ინაური

არის. თანამდებობიდან ინაურის წასვლამ პატიაშვილს მუხრატები მოუხსნა. უხეშ, მოუურიდებელ, მრავალწლიანი ძალაუფლებით განებებულ თავენა „მოხუცს“ სიბრძნეს ვერ წაართმევდი და, ზოგჯერ, თავის რჩევით ან უარით, სწორედ ის აოცებდა შედარებით ახალგაზრდა პირველი მდივნის მოზღვავებულ ტემპერამენტს და ანგარიშსწორების სურვილს. მისი წასვლით პატიაშვილმა თავისუფლად მისი ბუნება ვერ ჰყოლოდა.

ინაურის გადადგომის სენსაცი- ური ამბავი შევიტყვე 22 თუ 23 ნოემბერს ცუ-ს მეორე მდივნის ოთახში, როცა იქ „მიმშობის აქციასთან“ დაკავშირებით რაღაც საკითხის გასარკვევად მიმიწვიეს, ინაურიც იქ იჯდა, ხუმრობდა, ერთი- ორი ანეგდოტიც გულუქა მისი ასეთი „თავმდაბლობა“ გამიკვირდა, რად- განაც, ჩვეულებრივ თავის ვიზიტით, პირველი მდივნის გარდა არავის წყალობდა. მიზეზი როცა ამხსნეს, ნათელი გახდა, თუ რატომ არ იგ- რანობოდა ის „შებორკილობა“, რაც ინაურთან ერთად ყოფნის მუდმივი ატრიბუტი იყო. პირიქით, როგორც მაშინ მომეჩვენა, მისი თანდასწრე- ბით იქ მყოფნი უჩვეულოდ გალაღ- ბული იყვნენ.

...როცა, რილაც პაუზის დროს, შევებედ „ინაურული“ შეკითხვა, თუ რატომ გადაწყვიტა თანამდე- ბობიდან გადადგომა სწორედ ახლა. მიპასუხა: არ შემიძლია მშვიდად ვუტყვირო იმ ქვეყნისა და სისტემის ნგრევას, რომლის აშენებისთვის სიოცხლე მქონდა მიღწევილი, და დასძინა - მტრით უნდა „ჩასვა“, ჩემგან კი ახლა „ენის მოჩლექას“ ითხოვენო. მოსკოვლებს სწორედ ასე ვუთხარი, ბრიყული თამაში მომავალში უჩემოდ განაგრძეთ-მეთ- ქი. და თითქოს თავისთვის ჩაილა- პარაკა, დალუპავენ ამ ქვეყანას...

ერთი წამითაც არ შეპარება ეჭვი, რომ ამ სიტყვების წარმოთქმი- სას იგი გულწრფელი იყო.

...ის, რომ რესპუბლიკის „კა- გე-ბეს“ თავმჯდომარე ყოველთვის შედიოდა კომპარტიის ცუ-ს ბიუროს შემადგენლობაში, რეალურად სრულებით არ ნიშნავდა, თითქოს პარტიულ უფლებებში მასთან ოდნავ მაინც იყვნენ გათანაბრებუ- ლი ბიუროს დანარჩენი წევრები. ის მახვში იყო, არა მარტო ასაკით. ქართველთაგან კრემლისთვის ის იყო ყველაზე სანდო კაცი, მაგრამ... როგორც თვითონ ხშირად გვახ- სენებდა - ჩვენს პროფესიაში ბო- ლომდე არავის ნდობა არ შეიძლე- ბოდა, მასაც ჰყავდა მიჩინილი „თვა- ლი და ყური“ - მისი პირველი მოადგილე, რომელიც, როგორც წესი, რუსი იყო და ამ თანამდე- ბობაზე მივლინებულ-მობილინებუ- ლი იყო ცენტრადან...

აი, ასეთი იყო, თვალის ერთი შევლებით, უშიშროების სტალი- ნური სისტემა, რომელიც მისი შემ- ქმნელების ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ, თითქმის ორმოცი წელი, ანგრის, ანგრის და... ბოლომდე მაინც ვერ დაანგრის.

ჰოდა, ახლა თქვენ უპასუხეთ კითხვას, თუ „ვის უნდა დაეცის როს პასუხისმგებლობა“...

გაგომეღებება იქნება

აღკვეთილია... საქართველოს სამართლის სამართლის მაგისტრი დოკუმენტაციის შიქინასთან დაკავშირებით

როგორც საავტენტოს კორე- სპონდენტს აფხაზეთის ავტონო- მიური რესპუბლიკის მინისტრ- თა საბჭოდან აცნობეს, ადირულია სისხლის სამართლის საქმეები ყაბლი დოკუმენტების შექმნის გზით სახელმწიფო შემ- ვიბების უკანონო მითვისებები- ის ფაქტებზე წაღწევისა და ჩხორიწეუს რაიონში დევნილ- თა შემწეობის თანხების არამ- იზნობრივად გამოყენების, ზუგ- დიდის რესპუბლიკურ საავად- მყოფის ლტოლვილთა კომიტე- ტის მიერ 24 ათასი ლარის ღირებულების პროდუქტების გატაცების ფაქტზე უკანასკნელ ფაქტზე საქმის ადმინისტრაციის საფუძ- ვლად დაველო ავტონომიური რე- სპუბლიკის პროკურატურის, ში- ნაგან საქმეთა სამინისტროსა და კონტროლის პალატის მიერ ზე- მთადანიშნული კომიტეტის საქმიანობის შემოწმების მასაღე- ბი. როგორც აფხაზეთის ავტონო- მიური რესპუბლიკის მინისტრ- თა საბჭო ოუწყება, ანალოგიური სისხლის სამართლის საქმეები აღმდრა და მიმდინარეობს გამო- ძიება აფხაზეთის შინაგან საქმე- თა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტშიც. (იხერია)

## აფხაზეთში მოქმედი საზოგადოებრივ- პოლიტიკური ორგანიზაციების მინისტრის მიწვევა

აფხაზეთში მოქმედა სა- ზოადოებრივ-პოლიტიკურმა ორ- განიშაცებმა ჩაატარეს ყრილობა და მიიღეს რეზოლუცია. ეს რე- სოლუცია შემდგომ გაუგზავნა გაეროს გენერალურ მდივანს. ევროპაში უშიშროებისა და თან- ამშრომლობის ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, დსთ-ის სახ- ელმწიფო მეთაურთა საბჭოს, ჩრდილოეთ კავკასიის რეს- პუბლიკების ხელმძღვანელებს, მთიელ ხალხთა კონფერენციას და სხვა ორგანიზაციებს. რე- სოლუციაში ნათქვამია, რომ აფხ- აური მხარე იძულებული იქნება შეწყვიტოს ყოველგვარი მო- ლაპარაკება საქართველოსთან იმ შემთხვევაშიც, თუ კვლავაც გაგრძელდება ეკონომიკური ბლოკადა და თუ დსთ-ს სახ- ელმწიფო მეთაურთა საბჭო მი- იდებს საქართველოს ახალ წი- ნადავლებს აფხაზეთის წინააღმ- დეგ ეკონომიკური ბლოკადის გამკაცრების თაობაზე. (იხერია)

## უახლოეს მომავალში მოსალოდნელია, მოაწყოს არაოფიციალურ მოლაპარაკებათა მართობი და აფხაზეთის მხარეებს შორის

სააბნტოს კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის აპარატდან აცნობეს, რომ უახ- ლოეს მომავალში საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლებელია მოუწყოს არაოფიციალურ მოლა- პარაკებათა მართობი რაუნდი საქართველოსა და აფხაზეთის ეწ- ხელმძღვანელობას შორის. კონკრეტულად ვინ მიიღებს მონაწილეობას აფხაზეთის მხრი- დან - ჯერჯერობით უცნობია. მაგრამ საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთის ეწ. პარ- ლამენტის თავმჯდომარე სოკრატ ჯინჯოლია (იფრინდა)



საქართველოს ეროვნული ლატარია «იპიენი» გამთავაზების ცხრილი

Table with 3 columns: სერია, ნომერი, ვაითამაშებელი ნივთების სია. Lists lottery results for series 00, 01, 02, 03, 04, 05.

Table with 3 columns: სერია, ნომერი, ვაითამაშებელი ნივთების სია. Continues lottery results for series 01, 02, 03, 04, 05.

Table with 3 columns: სერია, ნომერი, ვაითამაშებელი ნივთების სია. Continues lottery results for series 02, 03, 04, 05.

Table with 3 columns: სერია, ნომერი, ვაითამაშებელი ნივთების სია. Continues lottery results for series 04, 05.

Table with 3 columns: სერია, ნომერი, ვაითამაშებელი ნივთების სია. Continues lottery results for series 05.

შეათქვამი გვერდიდან

Table with 2 columns: სერია (Serial) and გათამაშებული ნიუტების ხმა (Drawn numbers). Contains a list of numbers from 07 002598 to 08 009076.

Table with 2 columns: სერია (Serial) and გათამაშებული ნიუტების ხმა (Drawn numbers). Contains a list of numbers from 08 009118 to 10 001879.

Table with 2 columns: სერია (Serial) and გათამაშებული ნიუტების ხმა (Drawn numbers). Contains a list of numbers from 10 002110 to 11 010585.



სამაგიერო ლატარია «ნაბი» გათამაშების ცხრილი

Table with 2 columns: სერია (Serial) and გათამაშებული ნიუტების ხმა (Drawn numbers). Contains a list of numbers from 11 010616 to 14 008916.

